# ახალი განათლება

28.02-06.03.2019

№6 (840) გაბოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

## ქართულ რეალობას მორგებული ფინური სკოლის უნიკალურობა

*საინვესტიციო და საკონსულტაციო კომპანია „აღიანს ჯგუფი ჰოლდინგი“, ფინეთის ნამყვან განათლების კონსორციუმთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მოსფლიოში საუკეთესო განათლების მოდელად აღიარებული, პირველი ფინური სკოლას გახსნის საგუარამში. მათი მიზანია, ფინური სკოლა ერთ-ერთი თვალსაჩინო და სანიმუშო გახდეს არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონშიც.*

## გააზრებული თუ გაუაზრებელი კამპანია, რომელმაც სოციალურ ქსელში დიდი აგრესია წარმოშვა

*ის ფოტოები, რომელიც საბავშვო წიგნებიდან ვრცელდებოდა და ამ მასობრივ ისტერიას ინვევდა, სულაც არ ეკუთვნის სახელმძღვანელოებს, მაგრამ მისთვის, ვინც ასეთ ანონიმურ ფოტოებს იღებს და სოციალურ ქსელში ანთავსებს, რა თქმა უნდა ახლობელია ლიტერატურა, წიგნი და იცის, როგორ მიალწიოს შედეგს. ამას ემატება უკვე მასის მხრიდან ე.წ. „ბულინგი“ ავტორებისა და საჯარო შეურაცხყოფა, რომელიც წესიერ ქვეყანაში კანონით ისჯება.*

მარიამ ნიკოლაური

## Տեղական ինքնակառավարում
## ადგილობრივი თვითმმართველობა

*ამავე გაკვეთილის ხელმოსაწერ ჩატარების საშუალება რომ მქონდეს, ძირეულ ცვლილებებს არ შევიტანდი, მაგრამ შევეცდებოდი, მოსწავლეებისთვის მეჩვენებინა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში მათი ვიზიტის ამსახველი ვიდეო და გაცილებით მეტი ყურადღება დამეთმო მოსწავლეებში საკუთარი აზრის გამოთქმის უნარის განვითარებისთვის.*

სედა მელკუმიანი

მასწავლებლის გლობალური ჯილდო — 2019

# მსოფლიოს ათი საუკეთესო მასწავლებელი

*21 თებერვალს ცნობილი გახდა წლევანდელი „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ ფინალისტთა ვინაობა. მსოფლიოს ათ საუკეთესო მასწავლებელს შორის ქართველი ლადო აფხაზავა დასახელდა.*

*მასწავლებლის გლობალური ჯილდოს დამაარსებელი Varkey-ს ფონდი, ყოველწლიურად, ერთ გამარჯვებულს, ჯილდოს მფლობელს, პრიზად 1 მლნ დოლარს გადასცემს. მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზებისთვის 2015 წელს დაარსებული ჯილდო უკვე ხუთმა მასწავლებელმა მიიღო: პირველი ჯილდოს მფლობელი ნენსი ეტველი გახდა აშშ-ს შტატ მენიდან, ინგლისური ენის ნოვატორული სწავლებისათვის; 2016 წელს ჯილდო ჰანან ალ ჰრუბს გადაეცა, მასწავლებელს პალესტინიდან, რომელიც ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო და ახლა, სწავლებისას, მისი ლოზუნგია – „არა ძალადობას“; 2017 წელს ჯილდო კანადელ მასწავლებელს, მეგი მაკდონელს გადაეცა, 2018 წელს კი – ანდრია ზაფირაკუსს, მასწავლებელს დიდი ბრიტანეთიდან, რომელიც ბრენტის სკოლაში ასწავლის მოსწავლეებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფიდან.*

*„ერთი სული მაქვს, როდის გავიცნობ ლადო აფხაზავას და მოვისმენ მისი სწავლების სტილის შესახებ, – განაცხადა „გლობალ თიჩერ ფრაიზის“ დამფუძნებელმა, „ვარკეის ფონდის“ თავმჯდომარე ვიკას პოტამ .*

*მისი თქმით, ლადო აფხაზავას გამარჯვების დიდი შანსი აქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება იქნება.*

*„ალბათ ნანახი გაქვთ ლადოს ვიდეო. პირადად მე, შეყვარებული ვარ ამ ადამიანში. ერთი სული მაქვს, როდის გავიცნობ და მოვისმენ მისგან მისი სწავლების სტილის შესახებ, როდის გამიზიარებს შეხედულებებს განათლებაზე. ის ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს შეეჭიდა – დემოკრატია, ბავშვთა შრომა, უცხო ენის წიგნები. ჩემი აზრით, ლადო არის არაორდინარული ადამიანი. მას მოგების ძალიან დიდი შანსი აქვს. ის ათეულშია. ჩემი აზრით, თუკი მოიგებს, ეს მთელი მსოფლიოსთვის კარგი იქნება“, – განაცხადა ვიკას პოტამ.*

*წლევანდელ დაჯილდოებას ქართული საზოგადოება განსაკუთრებულად ელოდება, გამარჯვებულის დასახელებამდე კი გაეცანით ინფორმაციას წლევანდელი ფინალისტების შესახებ, რა მიღწევებისთვის აირჩია გლობალური ჯილდოს ჟიურომ ისინი და ვინ არიან მსოფლიოს საუკეთესო მასწავლებლები, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ ქართველ ლადო აფხაზავას.*

**ენდრიუ მოფატი**
**პარკფილდის საზოგადოებრივი სკოლა, ბირმინგემი, გაერთიანებული სამეფო**

ენდრიუ ასწავლის პარკფილდის საზოგადოებრივ სკოლაში, ბირმინგემის ერთ-ერთ ღარიბულ დასახლებაში, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები. ყოველი 10 მოსწავლიდან 9-ისთვის ინგლისური არამშობლიური ენაა.

ენდრიუს სასწავლო პროგრამა „No Outsiders“ მიზნად ისახავს მოსწავლეების სულიერ, მორალურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ის ასევე აწყობს ვორქშოფებს მშობლებისა და ბავშვების ერთობლივი ჩართულობით. მისი პროგრამის გამოყენება გაერთიანებული სამეფოს არაერთ ქალაქში დაიწყეს. თავის პროგრამას იგი, ასევე, იყენებს რადიკალიზმთან ბრძოლის ინსტრუმენტად.

ენდრიუ სკოლის შემდეგ ჩართულია „პარკფილდის ელჩების კლუბში“, სადაც მისი სკოლის მოსწავლეებს, რომელთა 99% ისლამის მიმდევარია, აქვთ შესაძლებლობა შეხვდნენ და გაეცნონ სხვა რელიგიის, რასისა და კულტურის წარმომადგენელ ბავშვებს.

2016 წელს პარკფილდის სკოლა დაჯილდოვდა Ofsted-ის მიერ და აღინიშნა, რომ ამ სკოლაში ზეიმობს მრავალფეროვნება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ენდრიუს სასწავლო პროგრამას. 2017 წლის ნოემბერში ენდრიუ დაჯილდოვდა ინგლისის დედოფლის მიერ დაწესებული MBE-ის ჯილდოთი განათლების სისტემის თანასწორობისა და მრავალფეროვნებისთვის შეტანილი წვლილისთვის.

***„მასწავლებლობა მსოფლიოში საუკეთესო პროფესიაა, ვინაიდან მაქვს შესაძლებლობა ყოველდღიურად ვიყო ბავშვების გარემოში და ბევრი ვისწავლო მათთან ერთად. განსაკუთრებით მომწონს, როცა მათ ვაკვირდები, სწავლის დასაწყისში – 4 წლის ასაკში და შემდეგ –11 წლის ასაკში. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მათი ცხოვრებისეული გამოცდილების და ამ მოგზაურობის ნაწილი ვარ“.***

**დეიზი მერტენს**
**ჰელმონდი, ნიდერლანდები**

2016 წლის ნიდერლანდების ნაციონალურ კონკურსში გამარჯვებული. დეიზი წარმოშობით ნიდერლანდების ერთი პატარა სოფლიდან, სამხრეთ ნაწილიდანაა. მხოლოდ ერთმა მშობელმა გაზარდა და ამიტომ მის ცხოვრებაში იყო ბევრი სირთულე, მაგრამ სკოლაში თავს ყოველთვის დაცულად და თავისუფლად გრძნობდა. მასწავლებლების დახმარებით, მოსწავლეობის პერიოდშივე, ირწმუნა საკუთარი შესაძლებლობები, რაც შემდეგ დაეხმარა განესაზღვრა თავისი ცხოვრების მიმართულება: *„როცა პატარა ვიყავი მასწავლებლები ძალიან ბევრს შთამაგონებდნენ, მაძლევდნენ მოტივაციას, რის გამოც მსიამოვნებდა სკოლაში სიარული. იგივე მინდა მივცე ჩემს მოსწავლეებს“.*

როგორც კი კვალიფიციური მასწავლებელი გახდა, არჩევანი ღარიბ დასახლებაში არსებულ ერთ-ერთ სკოლაზე გააკეთა. ის ამჟამად დიდ სკოლაში მუშაობს, სადაც 30-ზე მეტი ეროვნების 440 მოსწავლე სწავლობს.

დეიზის სწავლების მეთოდი ეფუძნება ბავშვების თანაბარ მონაწილეობას მის დაგეგმვაში. ეს საშუალებას აძლევთ, მოახდინონ საკუთარი შინაგანი მოტივაცია და რეფლექსიურად ჩამოაყალიბონ მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, პიროვნული ზრდის თვითრეგულირების გზით მიღწეული პროგრესი. მოსწავლეებთან ერთად, კვლევით პროექტებს ანხორციელებს მნიშვნელოვან თემებზე, მაგალითად, მდგრადი გასართობი პარკის შექმნა; კულტურისა და რელიგიის შესახებ განხორციელებულმა პროექტებმა დიდი გავლენა მოახდინა მოსწავლეების ცოდნის გაფართოებაზე. როდესაც მათ სთხოვა, შეექმნათ ერთი სახლი, რომელიც ექვს ძირითად მსოფლიო რელიგიის მლოცველებს გააერთიანებდა, აღმოჩნდა, რომ უმეტესობას შიგნიდან ნანახიც არ ჰქონდა ეკლესია. ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ადგილობრივ პასტორს სწვეოდნენ, რათა ბავშვებს მისგან მოესმინათ პასუხები სასურველ კითხვებზე.

მას შემდე, რაც დეიზიმ წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება მოიპოვა, სხვა მასწავლებლებს უტარებდა ტრენინგებს, კითხულობდა ლექციებს და ასწავლიდა National Teacher Congress (მასწავლებელთა ეროვნული კონგრესი). ასევე ის გახდა განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტროს სწავლის განვითარების ფონდის რეციპიენტი.

მისი უმთავრესი მიზანია, მოსწავლეები გახდნენ უფრო ბედნიერები, განათლებულები, ბრძოლისუნარიანები, ასწავლის თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ პიროვნებებად და როგორ გახდნენ იმაზე კარგები, ვიდრე არიან.

ერთ-ერთ ტრენინგზე დენიზს ჰკითხეს, რა არის ყველაზე ღირებული მისი სწავლების მეთოდში? მან უპასუხა, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დაეხმაროს ბავშვებს, გახდნენ დამოუკიდებლები, საკუთარ თავში დაჯერებულები და ჰქონდეთ ერთმანეთის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა.

***„მე მომწონს სწავლების პროცესი, ამით მეძლევა შესაძლებლობა ვესაუბრო ბავშვებს და დავეხმარო მათ ცხოვრებისეული მიმართულების განსაზღვრაში, თავიანთი ხედვების განვითარებაში. ვცდილობ დავარწმუნო ისინი, რომ მეტი შესაძლებლობა აქვთ, უფრო შორს წავიდნენ და მიაღწიონ ახალ მწვერვალებს, უფრო მაღლა იფრინონ“.***

**დეგორა გაროფალო**
**EMEF Almirante Ary Parreiras**
**ბრაზილია, სან პაულო**

თავდაპირველად, როდესაც დებორამ სან პაულოს სკოლაში დაიწყო მუშაობა, ბავშვებს არ ჰქონდათ სათანადო პირობები იმისთვის, რომ სრულყოფილი განათლება მიეღოთ ტექნოლოგიაში, რადგან სკოლას ამისთვის საჭირო რესურსები არ ჰქონდა. მოსწავლეები ცხოვრობდნენ გარემოში, სადაც იყო ანტისანიტარია, ძალადობა და სიღარიბე. სან პაულოში არსებული მძიმე რეალობა გახდა დებორასთვის ინსპირაცია, მოსწავლეებთან ერთად ფოტოფირზე აღებეჭდა ადგილობრივი ტერიტორიის პრობლემები – ნაგვით დაბინძურებული გარემო. დებორამ მოსწავლეებთან ერთად, მიზნად დაისახა ამ პრობლემის მოგვარება და მოიფიქრა პროექტი – Junk Robotics, რომელიც გულისხმობდა მათ მიერ ნაგვის შეგროვებას და ბოთლების, თუნუქის ქილების, სხვა მსგავსი გამოუყენებელი ნივთების გადამუშავების შედეგად რობოტების შექმნას. დებორამ ახალი ჰორიზონტი გახსნა და მოსწავლეების მსოფლმხედველობა გააფართოვა.

*„როდესაც პირველად ჩემს მოსწავლეებს გავაცანი იდეა, მითხრეს, რომ რობოტექნიკის შესწავლა მხოლოდ კერძო სკოლებში ხდებოდა და ამისთვის ისინი საკმარისად მომზადებულები არ იყვნენ. – ამბობს დებორა, – ჩვენ არ ვართ საკმარისად ჭკვიანები, რომ შევისწავლოთ რობოტექნიკა – ძალიან გულსატკენია, როცა ამას ისმენ მოსწავლეებისგან, რომლებსაც არ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების“.* მან მოსწავლეებს თანდათან გააცნო ელექტრონიკის საფუძვლები და გადავიდა რთული რობოტებისა და მიკროსქემების შექმნაზე. 2 ათასზე მეტი მოსწავლე ჩაერთო პროექტში და 700 კილოგრამი ნაგვის გადამუშავების შედეგად შეიქმნა სრულიად ახალი ნივთები – რობოტების, თვითმფრინავების, ნავების პროტოტიპები. პროექტის გავლენა მოსწავლეებზე დიდი იყო. მათ ცოდნა გაიღრმავეს ელექტრონიკასა და ფიზიკაში, ასევე, მიეჩვივნენ ჯგუფურ მუშაობას, დაიწყეს გლობალურ პრობლემებზე ზრუნვა. საბოლოო შედეგებით პროექტში მონაწილე მოსწავლეების სწავლის ხარისხი 4,2-დან 5,2-მდე გაიზარდა, მინიმუმ 28 კი სკოლიდან გარიცხვას გადაურჩა.

სან პაულოს მუნიციპალურმა სკოლებმაც დაიწყეს ახალი ტექნოლოგიების სასწავლო გეგმის განხორციელება, მათ შორის პროგრამირებისა და რობოტების სწავლების ჩათვლით.

***„მასწვლებლის პროფესია ეს არის ერთ-ერთი ამაღელვებელი და ღირებული რამ, რაც გაგვაჩნია. მე მიყვარს სწავლება, რადგან მაქვს შესაძლებლობა დავეხმარო მოსწავლეებს, მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვალონ, რისთვისაც აუცილებელი პირობა ხარისხიანი განათლებაა, რასაც მე მათ ვაძლევ“.***

**ჰიდეკაზუ შოტო**
**იაპონია, კიოტო**

ინგლისურის მხოლოდ სახელმძღვანელოთი სწავლება საკმარისი არ არის. ბავშვებს თამაში აკავშირებს გარე სამყაროსთან, ჰიდეკაზუს მეთოდით ისეთ უნარ-ჩვევებს ეუფლებიან, როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ლოგიკური აზროვნება.

მისი ინოვაციური სწავლების მეთოდით მოსწავლეები, საზღვარგარეთ წასვლის გარეშე, სრულყოფილად ეუფლებიან ინგლისურ ენას. სწავლებისას აქტიურად იყენებს Skype-სა და Minecraft-ს, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ინგლისურ ენაზე ჰქონდეთ ურთიერთობა სხვა ქვეყნების მოსწავლეებთან. დაახლოებით 10-ზე მეტი ქვეყნიდან ხდება კომუნიკაცია. ამ აქტივობის წყალობით მოსწავლეები სწავლობენ, იძენენ უნარებს, გამოიმუშავებენ კომუნიკაციის, ჯგუფური მუშაობის, წარმოსახვისა და ლოგიკური აზროვნების უნარებს. ჰიდეკაზუ თუ მასწავლებლის გლობალურ ჯილდოს მოიპოვებს, აპირებს შექმნას ორგანიზაცია, რომელიც იაპონიაში, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს დაეხმარება უცხოეთში ინფორმაციის გაცვლაში. ასევე, გეგმავს შექმნას სისტემა, რომელიც სოფლის სკოლებს ტექნიკურად აღჭურავს.

***„მე მომწონს ჩემი პროფესია, რადგან მიყვარს მოსწავლეები. ისინი ხანდახან ნერვიულობენ საკუთარ ცხოვრებაზე, ხშირად სკოლაში თავიანთი პრობლემებით მოდიან, მაგრამ მათ ამ პრობლემას ვავიწყებთ და შეუძლიათ, საკუთარ მასწავლებლებთან და მეგობრებთან ერთად, ხშირად გაიღიმონ. ვამაყობ, რომ მასწავლებელი ვარ“.***

**მარტინ სალვეტი**
**მე-5 ტექნიკური საშუალო სკოლა, ბუენოს აირესი, არგენტინა**

მარტინ სალვეტი არასოდეს გეგმავდა მასწავლებლობას, მაგრამ როდესაც დაიწყო პედაგოგობა უნივერსიტეტის ხარჯების დასაფარად, აღმოაჩინა, რომ ეს არის პროფესია, რომელიც მოსწონს. მას შეეძლო მოსწავლეების გრძნობების გაზიარება და, შესაბამისად, კარგად ხვდებოდა, როგორ შეეძლო დახმარებოდა განათლების გაუმჯობესებაში.

თავდაპირველად მან საფეხბურთო კლუბი დააფუძნა, რომელშიც სტუდენტები და სკოლის პერსონალი გააერთიანა. აღმოაჩინა, რომ სტუდენტები გაცილებით ეფექტურად სწავლობდნენ, როცა აქტიურად იყვნენ ჩართული რაღაც საქმიანობაში. სწორედ ეს გახდა საფუძველი მისი შემდგომი სწავლებისთვის.

სალვეტის სწავლის მეთოდის სარგებლიანობა დადასტურებულია მისი მიღწევებით, სკოლა ჩაერთო ხელოვნების პროგრამაში, რომელიც ორგანიზებულია საქველმოქმედო ჯგუფის მიერ. ამ გზით მათ მოიპოვეს დაფინანსება რადიო, კინოპროექტისთვის და ბენდისთვის. მიუხედავად ბევრი სირთულისა, რადიოპროექტით, 2007 წელს, სალვეტმა და მისმა სტუდენტებმა ეროვნული შეჯიბრი მოიგეს და მიეცათ შესაძლებლობა, შეეძინათ სამაუწყებლო აღჭურვილობა. პირველი ეთერი 2008 წელს ჰქონდათ.

ამის შემდეგ რადიომაუწყებლობა გაიზარდა – ახლა კვირაში შვიდი დღე, 24 საათი მაუწყებლობს. სალვეტის სკოლას სხვადასხვა რეგიონების სკოლებიდან სტუმრობენ და სწავლობენ მისი მოსწავლეებისგან. მაუწყებლობის თემები არჩე-

## მასწავლებლის გლობალური ჯილდო —2019

ულია სტუდენტების მიერ და მოიცავს, მაგალითად, საგზაო უსაფრთოებას, სექსუალურ განათლებას და ბულინგს.

ეს რადიოსადგური არის პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიურ ცვლილებებს. სტუდენტები ახორციელებენ მრავალფეროვან პროგრამებს, საუბრობენ რელიგიებზე, ბავშვთა უფლებებზე, იმაღლებენ ცნობიერებას გარემოსდაცვითი საკითხების, ასევე წყლის ეფექტური გამოყენების შესახებ და ა.შ.

აქ გაერთიანდნენ სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები და შეიქმნა პროექტი „ერთი მანქანა ერთი ცხენისთვის“. ისინი მუშაობენ მოტოციკლეტებისა და მანქანების შეკეთებაზე და ცვლიან მათ ცხენებში, რომლებიც მძიმე შრომისთვის გამოიყენება ან რომლებიც სასტიკ მოპყრობას განიცდიან.

სალვეტი სწავლებას გლობალურ საკითხებს უკავშირებს, ამიტომაც მისი პრაქტიკული გაკვეთილები ფართო ცოდნას აძლევს სტუდენტებს და აგრძნობინებს, რომ ისინი თავად არიან ფართო საზოგადოების ნაწილი.

სტუდენტებმა, რომლებიც სკოლიდან გარიცხვის კანდიდატები იყვნენ, ინსპირაცია მანქანების შესაკეთებელ სახელოსნოში, რადიოსადგურში, მუსიკაში ან თეატრში იპოვეს.

***„მე მიყვარს სწავლება, რადგან აღმოვაჩინე, რომ ეს არის ის, რაც ვიცი როგორ უნდა ვაკეთო და ამიტომაც მსიამოვნებს ამის კეთება. სწავლება მაძლევს საშუალებას, ვიყო ადამიანების ინტელექტუალური და ემოციური განვითარების ნაწილი. ეს არის ის, რაც მიყვარს ჩემს პროფესიაში.“***

**მელისა სალგუერო**
**ჯოზეფ რ. დრეიკის 48-ე საჯარო სკოლა, ბრონქსი, აშშ**

მუსიკის სწავლების სურვილი მეხუთე კლასში გაუჩნდა. ის ებრძოდა დაბალ თვითშეფასებას, რომელიც დისლექსიის შედეგი იყო. მან თავისი მასწავლებლისგან იგრძნო უდიდესი მხარდაჭერა – როგორც მენტორი, ეხმარებოდა ქულების გაუმჯობესებასა და ლიდერის თვისებების გამომუშავებაში.

ცხოვრებისეული გაკვეთილების მიღებისას, მელისას მუსიკა მიუძღვებოდა ცხოვრების გზაზე. როდესაც ის ბენდს შეუერთდა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, ძალიან რთულად მოეჩვენა და სურდა მიეტოვებინა. თუმცა, მალე აღმოაჩინა, რომ რაც უფრო მეტს აკეთებ, უფრო უკეთ გამოგდის და მალე ბენდის ლიდერი გახდა. ამ გამოცდილებამ ასწავლა, რომ არასოდეს არ უნდა დანებდე, უნდა ეცადო მსოფლიო საცხოვრებლად უკეთესი გახადო და დაეხმარო სხვებს.

როცა მასწავლებელი გახდა, მიზნად დაისახა ამგვარად დახმარებოდა მოსწავლეებს. მელისამ სწავლება ჯოზეფ რ. დრეიკის 48-ე საჯარო დაწყებით სკოლაში დაიწყო. სკოლას, 30 წლის განმავლობაში, არ ჰქონდა მუსიკის პროგრამა, არ იყო ინსტრუმენტები და სხვა ინვენტარი. ნიუ-იორკის ყველაზე დიდი რისკის მქონე ტერიტორიაზე მდებარე სკოლის ბავშვების 59% სიღარიბეში ცხოვრობდა. მელისამ მონაწილეობა მიიღო საგრანტო კონკურსში და მიიღო საკმარისი თანხა ინსტრუმენტებისთვის, რომ შეექმნა სკოლის პირველი ბენდის პროგრამა, რაც უდიდესი წარმატება იყო.

2013 წელს მელისა სალგუერო Big Apple Awards & Lincoln Center Arts Teacher-ის წლის მასწავლებლად დასახელდა.

2014 წლის გაზაფხულზე, დაიკარგა 30,000$ ღირებულების აღჭურვილობა (ნაწილი მოიპარეს, ნაწილი დააზიანეს). მელისამ იგრძნო, რომ მას უნდა ეჩვენებინა მოსწავლეებისთვის მხნეობის მაგალითი. მათ დაწერეს სიმღერა, რომელმაც გააერთიანა და გააძლიერა ისინი. შექმნეს მუსიკალური ვიდეორგოლი და სხვებს გაუზიარეს თავიანთი ამბავი.

ვიდეორგოლს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ამერიკელი ტელეწამყვანის, ელენ დეჯენერესის ყურადღებაც მიიქცია. მან მელისა, მოსწავლეებთან ერთად, თავის ცნობილ შოუში – The Ellen DeGeneres Show მიიწვია და საჩუქრად ახალი ინსტრუმენტები და 50,000 დოლარი გადასცა! 4 წლის შემდეგ მელისამ მოიგო 2018 წლის GRAMMY Music Educator Award მუსიკის სფეროში შეტანილი წვლილისთვის. შეირჩა სამი ათასი ნომინანტისგან.

***„ის, რაც ყველაზე მეტად მომწონს სწავლებაში, ჩემი სტუდენტების ზრდის დანახვაა. მიყვარს მათი ანთებული თვალები მაშინ, როდესაც ისინი გააცნობიერებენ, რომ შეძლეს ის, რაც წარმოუდგენელი ეგონათ. მუსიკალური განათლება გვასწავლის, რომ სწორ ჩანაწერებზე უფრო მნიშვნელოვანია შევქმნათ რაღაც ახალი და გამოვხატოთ ჩვენი გრძნობები. ეს გვაკავშირებს ერთმანეთთან.“***



**პიტერ ტაბიჩი**
**კერიკოს საშუალო სკოლა, კენია, ნაკურუ**

პიტერ ტაბიჩი მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებელია კერიკოს საჯარო სკოლაში. მოსწავლეების 95 პროცენტი ძალიან ღარიბი ოჯახებიდანაა. მათი მესამედი ობოლია ან მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავს. ამ რეგიონში ძირითად პრობლემებს წარმოადგენს გვალვა, შიმშილობა, არასრულწლოვანთა ნარკოტიკებზე დამოკიდებულება, ორსულობა თინეიჯერებში, ნაადრევი ქორწინება, სუიციდი და მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვა. პიტერი შემოსავლის 80% -ით გაჭირვებულებს ეხმარება.

სკოლის პირობები ძალიან რთულია. აქვთ მხოლოდ ერთი კომპიუტერი და ნელი ინტერნეტი. 58 მოსწავლეზე მხოლოდ ერთი მასწავლებელი მოდის. მოსწავლეებს სკოლამდე 7 კილომეტრის გავლა უწევთ, გზა კი წვიმაში გაუვალი ხდება. პიტერმა შექმნა სკოლის სამეცნიერო კლუბი, რომელიც მოსწავლეებს კვლევითი პროექტების შექმნაში ეხმარებოდა. კენიის სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზრობაზე პიტერის მოსწავლეებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც სმენა და მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს საშუალება ეძლევათ გაზომონ საგნები. პიტერის მოსწავლეებმა ქიმიკოსთა სამეფო საზოგადოების ჯილდო მიიღეს მას შემდეგ, რაც გამოიყენეს ადგილობრივი მცენარე ელექტროენერგიის მისაღებად. ამჟამად პიტერის სკოლის მათემატიკოსთა გუნდი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური გამოფენისთვის ემზადება, რომელიც წელს, არიზონაში, აშშ-ში გაიმართება.

პიტერმა და მისმა ოთხმა კოლეგამ, მეცადინეობისთვის დამატებითი საათები შაბათ-კვირას გამოყვეს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სწავლა უჭირდათ. პიტერი ხშირად სტუმრობს თავისი მოსწავლეების ოჯახებს, რადგან საკუთარი თვალით ნახოს ის პრობლემები და საჭიროებები, რომლის წინაშეც მისი მოსწავლეები არიან.

***„როცა ჩემი მოსწავლეების ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და თავდაჯერებულობის ზრდას ვხედავ, ჩემთვის უდიდესი სიხარულია. ძალიან კმაყოფილი ვარ, როდესაც მათ საზოგადოებაში პროდუქტიულებს, სტაბილურებს და კრეატიულებს ვხედავ, რადგან განსაკუთრებულია ჩემი წვლილი მათი ცხოვრების გზაზე.“***

**სვარუპ რავალი**
**ლავადის დაწყებითი სკოლა, გუჯარათის და სხვა სკოლები, ინდოეთი**

სვარუპი არასოდეს აპირებდა მასწავლებლობას, თუმცა მას შემდეგ, რაც დედა გახდა და სწავლას დაუბრუნდა 37 წლის ასაკში, გააანალიზა, რომ ჰქონდა რაღაც უნიკალური, რისი შეთავაზებაც სხვებისთვის შეეძლო. მიხვდა, რომ სწავლების ზოგიერთ მეთოდს შეუძლია ბავშვებს სტრესი შეუქმნას. ამიტომ მიზნად დაისახა ორი რამ: დახმარებოდა ბავშვებს გამხდარიყვნენ უფრო მოქნილები ცხოვრების უნარების სწავლების მეშვეობით და შემოეღო ახალი სწავლების მეთოდები, რაც მოსწავლეებს და მათ მასწავლებლებს დაეხმარებოდა, ჰქონოდათ პიროვნული ღირსების შეგრძნება.

იმისათვის, რომ ეს განეხორციელებინა, გაიარა დოქტორანტურა, იკვლევდა ცხოვრებისეული უნარების გაუმჯობესების საკითხს მენტალური კეთილდღეობისთვის, მასწავლებლის განათლებას და ხელოვნებას, როგორც განათლების ინსტრუმენტს.

სვარუპი მიყვება სწავლების ეკლექტიკურ მეთოდს, რომელიც საშუალებას აძლევს მიწვდეს ბავშვებს ქუჩებში, სოფლის თემებში, მომუშავე ბავშვებს, ეკონომიკურად და სოციალურად დაუცველებს და ასევე ბავშვებს ელიტური სკოლებიდან. თითოეულ ჯგუფს ინდივიდუალური გამოწვევები აქვს. ის იყენებს ჯგუფურ დისკუსიებს, დებატებს, თამაშებს, სიმღერებს, ხატვას სწავლებისთვის, იბრძვის ადრეული ქორწინებისა და ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ.

2016 წელს ის დაჯილდოვდა წლის Most Committed Person-ის წოდებით Early Childhood Association-ის მიერ. მან ასევე მიიღო Global Teacher Prize-ის ჯილდო.

***„ჩემთვის სწავლება არის დუმილზე უარის თქმა. განათლება არის ჩემი გზა, რომ გავხადო ბავშვების ცხოვრება უკეთესი. მე სრულვყოფ ჩემს პრაქტიკას. ასე რომ, შემიძლია გავაუმჯობესო სწავლა ბავშვებისთვის. მე აღმოვაჩინე სწავლების ახალი გზები და შემიძლია ვასწავლო მათ, როგორ ისწავლონ უკეთესად; ინოვაციური და განვითარებული ტექნიკა, ეფექტური განრიგი, ღირებული კვლევა უფრო უსაფრთხო და მშვენიერი მსოფლიოსთვის.“***

**ლადო აფხაზავა**
**საქართველო, გურია, ჩიბათი**

*„ჩემს მოსწავლეებს ვეუბნები, რომ თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ადამიანის ცხოვრებაში და ზოგჯერ თავისუფლებისთვის უნდა იბრძოლონ კიდეც“.*

ლადო აფხაზავა საქართველოს ძალიან ღარიბ რეგიონში ასწავლის, სადაც ეკონომიკური პრობლემებია, რის გამოც ბევრი მოსწავლის მშობლები საზღვარგარეთის ქვეყნებში სამუშაოდ არიან წასული, რათა ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინონ ოჯახებს. მოსწავლეების უმეტესობა და-ძმებთან ან ბებია-ბაბუებთან ერთად ისე ცხოვრობს, რომ მშობლები წლების განმავლობაში არ უნახავთ. ოჯახური პირობებიდან გამომდინარე, ხანდახან, ბევრი მოსწავლე სკოლაში დილის საუზმის გარეშე მოდის, არის შემთხვევები, როცა სკოლაში სასწრაფოს გამოძახებაც უწევთ, რადგან მოსწავლეები შიმშილის გამო ცუდად ხდებიან. ბევრი თავს ანებებს სწავლას და სამუშაოდ საზღვარგარეთ მიდის.

რეგიონში ბევრი სხვა პრობლემაცაა, მათ შორის ბავშვთა შრომა. ლადომ მიზნად დაისახა ამ პრობლემის მოგვარება. თავდაპირველად, მას საზოგადოებრივი მხარდაჭერა არ ჰქონია, თუმცა, აქტუალური საკითხების წინ წამოწევით, სხვადასხვა ტელევიზიის ჟურნალისტების ჩართვით, საზოგადოების ყურადღება მიიქცია. 2017 წელს ლადო საქართველოს ეროვნული მასწავლებლის ჯილდოს ღირსეული გამარჯვებული გახდა.

*„ჩვენი სკოლა ერთ-ერთი ნათელი წერტილია სოფელში. განახლებული შენობაა, ამიტომ მოსწავლეებს ძალიან უყვართ აქ მოსვლა. ჩვენ ვცდილობთ, რომ ბავშვებმა ოჯახური პრობლემები დაივიწყონ, ეს არის მიზეზი, თუ რატომ ვიწყებ ჩემს გაკვეთილებს ასე მხიარულად. სკოლა ძალიან პატარაა, მაგრამ პროექტებზე დაფუძნებულმა სწავლებამ, ხელი შეუწყო მოსწავლეთა რაოდენობის ზრდას. სწავლების ეს მეთოდი, მოსწავლეების თვითგამოხატვისკენაა მიმართული, „დემოკრატიული რევოლუციის“ გზით. ჩვენ გავაძლიერეთ მოსწავლეთა თვითმმართველობა, როგორც პარლამენტი, რომელიც მოსწავლეებსა და სკოლის ადმინისტრაციას აერთიანებს. როდესაც მოსწავლეები გადაწყვეტენ ახალი წესის ან ქცევის ნორმის დამკვიდრებას, თავმჯდომარე ვალდებულია ეს აღასრულოს. თუკი ადამიანი აქტიური მოქალაქე ხდება, ის ზრუნავს არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ, საზოგადოებაზე, სკოლასა და მთელ სოფელზე. ბედნიერი ვარ, როდესაც ჩემს მოსწავლეებს თავისუფლებისა და მომავლისთვის ბრძოლაში ვხედავ, რათა მათ თავიანთი ცხოვრების მაგალითი სხვებსაც მისცენ.“*

თუ ლადო გლობალური მასწავლებლის პრიზით დაჯილდოვდება, ის საქართველოს სხვა რეგიონებში იმ სკოლებს დაეხმარება, რომლებსაც არ შეუძლიათ შეიძინონ თანამედროვე ტექნოლოგიები ან უცხოენოვანი წიგნები. ამ ფულით ასევე დაეხმარება ღარიბ სტუდენტებს. გარდა ამისა, ლადოს რაიონში არ არსებობს სკოლები კაფეტერიით, რაც, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს მოსწავლეების სწავლაზე. შესაბამისი დაფინანსებით, ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს. საბოლოოდ, ლადო თავისი რეგიონის 26 სკოლას სასათბურე მეურნეობის განვითარებაში დაეხმარება.

***„მე მიყვარს სწავლება – ის მაძლევს საშუალებას, რომ გავლენა მოვახდინო და უკეთესობისკენ შევცვალო ცხოვრება. მე ყოველთვის ვცდილობ, რომ სწავლის პროცესი იყოს კომფორტული, სახალისო და სამახსოვრო მოსწავლეებისთვის, ის მეხმარება გავხსნა მრავალსაკეტიანი კარი.“***

**იასოდაი სელვაკუმარანი**
**Rooty Hill High School, ახალი სამხრეთ უელსი, ავსტრალია**

იასოდაი სელვაკუმარანი ავსტრალიაში ცნობილია, როგორც გამორჩეული მასწავლებელი და ლიდერი. დღეისათვის იასოდაი დასავლეთ სიდნეის საჯარო სკოლაში Rooty Hill High School-ში ასწავლის. ეს არის სოციალურ-ეკონომიკურად გაჭირვებული ადამიანებისაგან დასახლებული ტერიტორია, რომელიც გამოირჩევა კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნებით.

ფართო საზოგადოება ხშირად იბრძვის სტერეოტიპების წინააღმდეგ, თითქოს ღარიბ მოსწავლეებს არ შეუძლიათ დიდ წარმატებებს მიაღწიონ. იასოდაის მეშვეობით სკოლამ მაღალ შედეგებს მიაღწია, მანამდე მას საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა. მხოლოდ რვაწლიანი კარიერის განმავლობაში მან პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა, დაახლოებით, 200 მასწავლებლის კარიერაზე, მოიგო 2014 წლის Australian Council of Educational Leadership Mary Armstrong Award-ის ჯილდო, რომელიც დაწესებულია გამორჩეული ახალგაზრდა განმანათლებელი ლიდერისთვის. მან ასევე მოიპოვა Australian Teaching Fellowship 2018 წელს.

Rooty Hill High School, 2016 და 2017 წლებში, დასახელდა ავსტრალიის 40 ყველაზე ინოვაციურ სკოლას შორის, ხოლო 2017 წელს იასოდაი დასახელდა განათლების სისტემაში 35 წლამდე ასაკის ავსტრალიის 30 ამომავალ ვარსკვლავს შორის The Educator Australia magazine-ის მიერ.

***„მე მიყვარს, როდესაც ვხედავ, რომ სიამოვნებით სწავლობენ მოსწავლეები. პრივილეგიაა იმუშაო ამ პროფესიაში, რადგან ეს გაძლევს შესაძლებლობას განავითარო ინდივიდები, ჯგუფები და შესაძლოა, მთლიანი საზოგადოებაც.“***

**მოამზადეს:**
**მარიამ მხეიძემ,**
**მათე ჯოხაძემ**

საგანმანათლებლო პროექტი

# ქართულ რეალობას მორგებული ფინური სკოლის უნიკალურობა

ლალი ჯელაძე

საინვესტიციო და საკონსულტაციო კომპანია „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი“, ფინეთის წამყვან განათლების კონსორციუმთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მსოფლიოში საუკეთესო განათლების მოდელად აღიარებულ, პირველ ფინურ სკოლას გახსნის საგურამოში და ეს იქნება უპრეცედენტო, თითქმის 50-მილიონიანი ინვესტიცია, საწყის ეტაპზე, რომელსაც „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი“ განახორციელებს. 19 თებერვალს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში”, „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგმა“ საქართველოში ფინური სტანდარტების შესაბამისი პირველი სკოლის პრეზენტაცია გამართა.

ფინურ სკოლაში პირველი აკადემიური წელი 2019 წლის სექტემბერში დაიწყება. პირველ ეტაპზე, სკოლა მიიღებს დაწყებით კლასებს. სასწავლო პროგრამა, სტრუქტურა და სასწავლო პროცესი მსოფლიოში საუკეთესო განათლების მოდელად აღიარებულ ფინურ მოდელზე იქნება დაფუძნებული. 2021 წელს დასრულდება 7 ჰექტარ ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც მოიცავს სამივე საფეხურის სკოლას, თანამედროვე კამპუსს, მულტიფუნქციურ სპორტულ კომპლექსსა და მასწავლებლების ტრენინგცენტრს.

საერთაშორისო კვლევების თანახმად, 2012 წლიდან, ფინეთი ლიდერია დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემათა მსოფლიო რეიტინგში, ხოლო ფინელი მოსწავლეები მსოფლიოში საუკეთესო შედეგს აჩვენებენ ცოდნისა და სასკოლო უნარ-ჩვევების მიხედვით. ფინური სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი ინდივიდუალიზმის განვითარება, პრაქტიკულობა და რეალური ცხოვრებისთვის მომზადებაა. ფინური სასკოლო მეთოდი სკოლის ასაკიდანვე უზრუნველყოფს ბავშვში ინტერესის სფეროების და პროფესიული მისწრაფებების გამოვლენას. აქედან გამომდინარე, სკოლის კურსდამთავრებულმა ყოველთვის იცის რა უნდა, რადგან ის პრაქტიკულ მომავალზეა ორიენტირებული. ყველა ბავშვისთვის განათლების და განვითარების ინდივიდუალური გეგმა დგება, რაც გამორიცხავს მის ე.წ. „ჩამორჩენას“ ამა თუ იმ აკადემიურ საგანში.

ცნობილია, რომ ფინეთი ინოვაციური დამწყები კომპანიების წარმატებული პროექტებითაც ლიდერობს, რომელთა უმრავლესობა მილიარდიან კომპანიებად ყალიბდება. სწორედ აღნიშნული მაჩვენებლები გახდა „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგისთვის“ მთავარი მოტივატორი ფინური საერთაშორისო სკოლის პროექტის განსახორციელებლად საქართველოში.

**რა გამოარჩევს ფინურ სკოლას ჩვენთვის ტრადიციული განათლების სისტემისგან?** „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის” აღმასრულებელი დირექტორი **აიეტ კუკავა** ამბობს, რომ საკუთარი შვილებიც ამ სკოლაში უნდა მიიყვანოს, რადგან ფინური სკოლის დამთავრებისას ბავშვი დამოუკიდებელია, ჩამოყალიბებულია თავის არჩევანში და აღარ სჭირდება მშობლის რჩევა, ექიმი გამოვიდეს თუ იურისტი. *„პროფესიის არჩევისას გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს და ამაში სწორედ სკოლა ეხმარება. პირველი, რაც ფინურ სკოლას სხვებისგან გამოარჩევს, სწორედ ეს არის – მოსწავლე პირველივე კლასიდან იწყებს მომავალი პროფესიის არჩევას. ამისთვის სკოლა სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებს. მაგალითად, ხშირად შევახვედრებთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს – ბიზნესმენებს, სპორტსმენებს, ხელოვნების მუშაკებს, მეცნიერებს, პოლიტიკოსებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობის დეტალებსა და წარმატებებზე მოუყვებიან. ბავშვმა, პირველი კლასიდანვე, აუცილებლად უნდა იცოდეს რისთვის სწავლობს და, რაც მთავარია, სწავლა იძულებითი პროცესი კი არ არის, არამედ მომავალ ცხოვრებაში საკუთარი გზის წარმატებულად გავლის საშუალებაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.“*

ფინური განათლების მოდელში წამყვანი როლი მასწავლებელს ენიჭება. *„ფინური სკოლის მასწავლებელი უნდა ფლობდეს, მინიმუმ, მაგისტრის ხარისხს. მაღალი კვალიფიკაცია საშუალებას აძლევს მას, გამოიყენოს მეტი თავისუფლება საგაკვეთილო პროცესში, რაც ამყარებს საზოგადოების ნდობას განათლების სისტემის მიმართ. შეუძლია ჩაატაროს მათემატიკის გაკვეთილები ღია სივრცეში, საკლასო ოთახის გარეთ ან გააერთიანოს რამდენიმე საგანი და ერთი გაკვეთილის ფორმატში ჩაატაროს. მსგავსი მეთოდი განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის ანალიტიკურ აზროვნებას“,* – აცხადებენ სკოლის მესვეურები.

ჰოლდინგის გენერალური დირექტორი სამომავლო გეგმებსაც გვაცნობს: *„გაფართოებას ვაპირებთ ბათუმსა და ქუთაისშიც, მაგრამ მანამდე გვინდა, კერძო და სახელმწიფო სკოლებთან აქტიურად ვითანამშრომლოთ. ჩვენი მიზანია, საქართველოში ფართო მასშტაბით გავრცელდეს ფინური სკოლის მოდელი და ამით ქვეყნის მოსახლეობამ იხეიროს, თავისთავად, ქვეყანაც უფრო წარმატებული იქნება, თუკი ბევრი თანამოაზრე და კარგი განათლების ადამიანი გვეყოლება.“*

ეს უფრო შორს მიმავალი გეგმებია, თუმცა, არსებობს უფრო კონკრეტული გეგმა, რომლის განხორციელება 2021 წლისთვის იგეგმება. მანამ კი, სექტემბერში, დაწყებითი სკოლა ამოქმედდება. *„ამ ეტაპზე უკვე ოცი მასწავლებელია შერჩეული, სხვადასხვა კრიტერიუმებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ოცი მასწავლებელი ჩვენთვის საკმარისი არ იქნება, ისინი მხოლოდ საწყისი ეტაპისთვის შეირჩნენ. თავიდანვე ვერ მივიღებდით მოსწავლეებს 12-ვე კლასში, ვარჩიეთ, პირველი კლასიდან გავყვეთ მათ. ამიტომ ავიღეთ პატარა შენობა, რომელიც შევაკეთეთ და დავიწყებთ პირველი-მესამე კლასის ჩათვლით. თუმცა, სამომავლოდ დიდი კომპლექსი აშენდება ოლიმპიური დონის საცურაო აუზით, სტადიონით, ტრენინგცენტრით, რომლით სარგებლობაც სხვა სკოლებსა და უნივერსიტეტებსაც შეეძლებათ. ამასთანავე, როგორც ფინური სკოლის მოდელი გულისხმობს, დღე სასწავლო პროცესს დაეთმობა, საღამო კი – ტრენინგებს მასწავლებელთა გადამზადებისთვის. ჩვენს კონკურენტებსაც შეუძლიათ გამოგვიზავნონ მასწავლებლები და მათაც დავატრენინგებთ. საკმაოდ დიდი მოცულობის კომპლექსი ამის საშუალებას იძლევა. საგურამო იმიტომაც ავარჩიეთ, რომ ჩვენი სურვილია, ბავშვი ყოველმხრივ დაცული იყოს, მათ შორის ეკოლოგიურადაც (მეტი სუფთა ჰაერი) და სწავლის მაღალი ხარისხის მინდოდებითაც. ამასთან ერთად, ისიც გავითვალისწინეთ, რომ სკოლიდან გამოსული მოსწავლისთვის ნაკლები ინტერაქციაა გარემოსამყაროსთან, რაც ბევრი საფრთხის თავიდან აცილებას შეუწყობს ხელს, თუნდაც კონფლიქტებს. ფინელებმა მსოფლიოში პირველებმა შემოიღეს ანტიბულინგური პრევენციის პროგრამა, რომელიც ბავშვებში თავიდანვე იმის გაცნობიერებას გულისხმობს, რომ ერთმანეთი არ დაჩაგრონ. მათ მანდატურები კი არ უნდა აკონტროლებდნენ და უკვე მომხდარ ფაქტებზე რეაგირებდნენ, არამედ თავად უნდა იცოდნენ, რომ ჩაგვრა ცუდია და ეს არ უნდა მოხდეს.*

*ეს ყველაფერი კი სისტემისგან წინასწარ გაწერილი გაიდლაინით უნდა იყოს მართული და სკოლა, რომელიც საგურამოში გაიხსნება, აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ფინური სკოლის მოდელის ყველა სტანდარტს.*

*რასაკვირველია, ჩვენ გარკვეული ვალდებულებაც გვექნება (რომელიც ყოველწლიურ გადასახადშიც კი არის გაწერილი), რომ ყველა სიახლე, რაც ფინური სკოლის მოდელში შევა, ავტომატურად, ჩვენთანაც დაინერგება, რადგან, ჩვენ, ფაქტობრივად, ფინურ სკოლად მოვიაზრებით. ნებისმიერ ბავშვს ნებისმიერ სემესტრში შეეძლება ფინეთის რომელიმე სკოლაში წასვლა და სწავლის იქ გაგრძელება (მაგალითად, ერთი სემესტრის გავლა) და შემდეგ ისევ ჩვენთან დაბრუნება. ამით სასწავლო პროცესში მისთვის რეალურად არაფერი შეიცვლება. ასევე შეეძლებათ ფინელ მოსწავლეებსაც ჩვენთან ჩამოსვლა და მათაც იგივე გარემო დახვდებათ, რაც ფინეთის სკოლებშია. აქედან გამომდინარე, სკოლის დამთავრებისას, განსხვავება არ იქნება ფინეთში დაამთავრებს ჩვენი მოსწავლე სკოლას თუ საგურამოში.“*

**იქნება თუ არა პროგრამული სხვაობა?** ბატონი აიეტი ამბობს, რომ რადგან სკოლას ბევრი უცხოელი მოსწავლე ეყოლება, განსხვავება მხოლოდ იმ მოსწავლეებისთვის იქნება, რომლებსაც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ექნებათ სწავლის გაგრძელების სურვილი. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, დამატებით ისწავლონ ქართული პროგრამით და აირჩიონ რიგი საგნები.

„ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ მიზანია ფინური სკოლა ერთ-ერთი თვალსაჩინო და სანიმუშო გახდეს არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონშიც. მათ პარტნიორ ფინურ საგანმანათლებლო ჯგუფს – Polar Partners განხორციელებული აქვს მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტები ფინეთსა და საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნული ჯგუფი შედგება სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებისგან: განათლების ექსპერტებისგან, პედაგოგიკის ტრენერებისგან, არქიტექტორებისგან, IT სპეციალისტებისგან, მშენებლებისა და დიზაინერებისგან, რომლებიც „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ თანამშრომლებთან ერთად, მუშაობენ იმაზე, რომ ფინური სკოლის პროექტი წარმატებით განხორციელდეს. ფინურ კონსორციუმთან „ალიანს ჯგუფ ჰოლდინგს“ გაფორმებული აქვს ექსკლუზიური ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, Polar Partner უზრუნველყოფს სრული სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას ფინური საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად. სწორედ Polar Partner უზრუნველყოფს ფინური საერთაშორისო სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას და გადამზადებას მსოფლიოში პირველ სასკოლო მოდელად აღიარებული ფინური მოდელის მიხედვით. ტრენინგებს და გადამზადებას ფინელი ექსპერტები და პედაგოგიკის ტრენერები ჩაატარებენ.

**მაინც რა არის უნიკალური ამ მოდელში**, რატომ რჩება ფინური განათლება მსოფლიოს მასშტაბით ნომერ პირველ მოდელად და რამ განაპირობა ამხელა ინვესტიციის ჩადება ჩვენს ქვეყანაში? „Polar Partners Ltd“ -ს დამფუძნებელი **კიმო კუმპულაინენი** პასუხობს, რომ სისტემას 50 წელია ავითარებენ და ყველაფერი კვლევებს ეყრდნობა.

მას განათლების სფეროში მოღვაწეობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს – სკოლის დირექტორობიდან მასწავლებლობამდე. *„მრავალი წლის განმავლობაში ვასწავლიდი მეწარმეობას, 3 ათას მოსწავლეს შევასწავლე საკუთარი კომპანიების ჩამოყალიბება, გაფართოება და ა.შ. 15 წელი ვიმუშავე ამ მიმართულებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კი – განვითარების სკოლებთან ფინეთში და სხვადასხვა ქვეყანაში. ახლა თქვენთან ვარ და მიხარია, რომ აიეტმა ძალიან საინტერესო პროექტი წამოიწყო – ფინურ სკოლას ვქმნით საქართველოში.“*

**ფინური სკოლის უნიკალურ მეთოდად ასახელებს, სკოლის პირველ წლებში სწავლებისას, მეტ თამაშსა და ცნობისმოყვარეობას, ნაკლებ წნეხს აკადემიურ მოსწრებასა და სორტირებაზე**. *„არაერთი კვლევა გვიჩვენებს, რომ ასეთი მიდგომით გაცილებით უკეთეს შედეგებს ვიღებთ, ამას მოგვიანებით უფრო მომთხოვნი ამოცანები ემატება – ცხოვრებისეული უნარების გამომუშავება და ცნობისმოყვარეობის აღძვრა, ასევე, აისიტის უნარები, კოდირება, მასმედიაში ცოდნის გაღრმავება, ისტორია და ა.შ.; მათ შორის, რა თქმა უნდა, მეწარმეობა. მოსწავლე ძალიან ცნობისმოყვარეა და აუცილებლად პატარაობიდანვე უნდა დაინახოს, რომ შეძლებს შეცვალოს, ზოგადად, სიტუაცია უკეთესობისკენ. ეს არის მეწარმის სულისკვეთება, რამაც შეიძლება იქამდეც კი მიგვიყვანოს, რომ ადამიანებმა დაიწყონ ბიზნესის ჩამოყალიბება, გახდნენ თვითდასაქმებულები ან იმუშაონ სხვადასხვა ადგილებზე, მათ შორის კერძო და არასამთავრობო სექტორში.“*

ბატონი კუმპულაინენი ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ დაგეგმილია არა პირდაპირ ფინური გამოცდილების გადმოღება და დანერგვა, არამედ – ქართულ რეალობასთან მისადაგება. ამბობს, რომ *„კვლევის მეთოდებითა და იდეების საფუძველზე ვიმოქმედებთ. სწორედ ამიტომ შევკრიბეთ და ჩამოვიყვანეთ საქართველოში ექსპერტთა საკმაოდ კარგი ჯგუ-*

ზაგანმანათლებლო პროექტი

*ფი. რაც შეეხება სასწავლო პროგრამას, მასწავლებელთა გადამზადებას და შინაარსობრივი მხარის მომზადებას, ჩვენ ადგილობრივი მასწავლებლები აგვყავს თანამშრომლებად. უკვე რამდენიმე კარგი პიროვნება შევარჩიეთ, რომლებიც ადგილობრივ შინაარსობრივ თავისებურებებს შეისწავლიან, თუნდაც იმისთვის, რომ ქართული ენა და კულტურა პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცეს.“*

პროექტის ხელმძღვანელი **ალექსანდრე კუკავა**, რომელიც აიეტ კუკავამ სრულიად შემთხვევით გაიცნო ამერიკის შეერთებულ შტატებში, სპეციალურად ამ პროექტისთვის ჩამოვიდა საქართველოში ოჯახთან ერთად და ისიც თავისი ოთხი შვილის მიყვანას ამ სკოლაში გეგმავს. ჰოლდინგის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ისინი, როგორც ამ სკოლის მოსწავლეების მომავალი მშობლები, მზად არიან, საზოგადოებაში გაჩენილ ნებისმიერ კითხვას უპასუხონ, მათ შორის, იმ კითხვებს, რომელიც მშობლებს გაუჩნდებათ სკოლის მიმართ.

*„ვინაიდან ჩვენ გვინდა მეტ-ნაკლებად ჯანსაღი გარემო შევქმნათ ეკოლოგიურადაც, ამიტომ მშობლების საყურადღებოდ იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის ჯანსაღი საკვები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენ თვითონ შევისყიდით საკვებს და გვექნება სპეციალური მინი-ლაბორატორია ჩვენთანაც და შემსყიდველებთანაც. სწავლის კუთხით კი, თავისთავად, ფინური მოდელი ეჭვს არ ტოვებს, რომ მსოფლიოში წამყვანია. ამასთანავე, მაქსიმალურად გვინდა მშობელთა ჩართულობა, დირექტორთა საბჭოშიც იქნებიან მათი წარმომადგენლები. სკოლას ეყოლება დამოუკიდებელი დირექტორებიც, ეს მნიშვნელოვანია, რადგან ის არ იქნება მოგებაზე ორიენტირებული, როგორც აქციონერი. დამოუკიდებელი დირექტორის ფუნქციაა, ყველაფერი სტანდარტების მიხედვით აკონტროლოს, რომ სკოლა მარტო მოგებაზე არ იყოს ორიენტირებული. ეს თავიდანვე ჩავდეთ ჩვენს პროექტში, რადგან იქ, სადაც ბავშვები და განათლებაა, ჩემთვის პირადად, თუნდაც როგორც აქციონერისთვის, მოგება ნაკლებად მნიშვნელოვანია. სკოლის გახსნისთანავე, ჩვენ ღია ვიქნებით ნებისმიერი ინვესტორისთვის. ბათუმისა და და ქუთაისის შემდეგ სხვებსაც დაველოდებით, თუკი ამის სურვილი გაჩნდება. ჩვენი კომპანია ბევრ გრძელვადიან პროექტს ავითარებს და სურვილი გვაქვს, მთელი ქვეყნის მოსახლეობამ მიიღოს მონაწილეობა. მათგანაც მაქსიმალურად მივიღებთ შემოთავაზებებს, რადგან ეს მხოლოდ ჩვენი კი არა, ქვეყნის პროექტია.“* – ამბობს აიეტ კუკავა.

ასეთია ფინური სკოლის იდეის ძირითადი აქცენტები, რომელმაც კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობა გადაფარა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. საგურამოდან ფინური სკოლის მოდელამდე ჰოლდინგს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი გზა აქვს გასავლელი, საინტერესოა ისიც, თუ როგორ მიიღებს ქართული საზოგადოება გულუხვი ინვესტორის ასეთ სარფიან შემოთავაზებას, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მინი-ფინური მოდელის დანერგვის თაობაზე.

მწვავე თემა

# გააზრებული თუ გაუაზრებელი კამპანია, რომელმაც სოციალურ ქსელში დიდი აგრესია წარმოშვა

***ამ ბოლო დროს სოციალურ ქსელებში უცნაური კამპანია გაჩაღდა საბავშვო მწერლების წინააღმდეგ – ვიღაც იღებს კონტექსტიდან ამოგლეჯილ მონაკვეთს საბავშვო ლექსიდან და აძვეყნებს, სხვები იზიარებენ, ავრცელებენ და იწყება განქიქება შეურაცხმყოფელი, უწმაწური სიტყვებით. რაც საგულისხმოა, ყველა ამონარიდი წარმოდგენილია, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოდან ამოკრებილი ნაწყვეტი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სურათს – აი, რას ასწავლიან ჩვენს შვილებს სკოლაში! გასაოცარია, მაგრამ ნებისმიერი საბავშვო ლექსი, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების მხრიდან აღიძმება, როგორც სასკოლო საპროგრამო. ამ „ცუდი“ ლექსების საპირწონედ მაშინვე ჩნდება „დედა ენა“ და რიტორიკა – არ გვინდა ეს სახელმძღვანელოები, დავაბრუნოთ „დედა ენა“. სამწუხაროა, რომ ამ კამპანიის სამიზნე მაყვალა მრევლიშვილიც გახდა, მისი ერთ-ერთი საუკეთესო საბავშვო ლექსი („ძისა, ძისა, ბარაძისა...“) დაცინვის ობიექტად იქცა. უარყოფითი გამოხმაურება ჰქონდა, ასევე, უცხოური პოეზიის ნიმუშებს, რამდენიმე თარგმნილ ლექსს, თანამედროვე ქართველ ავტორებს, მათ შორის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს.*

*ამ მოვლენას, რომელსაც ინტერნეტგულინგიც კი შეიძლება ვუწოდოთ, გამოეხმაურა პაატა შამუგია წერილით „დავიცვათ პატარების ლექსები დიდებისგან“, მარიამ წიკლაურმა ფეისბუქგვერდზე დაწერა, რომ „ეს ცილისმწამებლური ფეისბუქკამპანია ხშირად სრულიად მართული მოვლენა მგონია კონკრეტული პიროვნებებისგან. თქვენ რა გინდათ, სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორი ქართულ ხალხურ ლექსს ჰგავდეს? იქაც „მზე დედაა ჩემი“ დაგხვდებათ? არც იუმორი აქვს სხვა ხალხს, არც ფანტაზია, მხოლოდ სამშობლოზე უნდა იწერებოდეს ლექსები?“*

*რამდენად მიზანმიმართულია სოციალურ ქსელში გაჩაღებული კამპანია და თუ ასეა, რა მიზანს ემსახურება, ვის აძლევს ხელს საზოგადოებრივი აზრის ამ მიმართულებით წარმართვა – ამ შეკითხვებით მივმართეთ მწერალს, საბავშვო ავტორს მარიამ წიკლაურს.*

**– ქალბატონო მარიამ, ფეისბუქზე ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა საბავშვო ლექსებიდან ამონარიდების გამოქვეყნება და განქიქება. წერდით, რომ ეს კამპანია მიზანმიმართული გგონიათ. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება შექმნილი აჟიოტაჟი?**

– მადლობელი ვარ, რომ დაინტერესდით და ეხმაურებით ამ არასასიამოვნო სიტუაციას, რომელშიც ბევრი ავტორი აღმოჩნდა სრულიად დაუმსახურებელი აგრესიის სამიზნე. ბოლომდე კიდევ გასარკვევია, რა მიზანს ემსახურება ეს აჟიოტაჟი, თუმცა ბევრ რამეს უნდა დავარქვათ თავისი სახელი. პირველ რიგში ვამბობ, რომ ეს დასაგმობი მოვლენაა, რაც უნდა მართული ან უმართავი იყოს. რადგან ორთავე შემთხვევაში ამ გააზრებულმა თუ გაუაზრებელმა კამპანიამ დიდი აგრესია წარმოშვა სოციალურ ქსელში, ბევრ ღირსეულ ავტორს მიაყენა დაუმსახურებელი შეურაცხყოფა, გამოავლინა ის ნეგატივი, რომლითაც სავსეა, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა. დაამცირა არა მხოლოდ ავტორები, არამედ ეჭვქვეშ დააყენა ნებისმიერი საბავშვო წიგნის, ნაწარმოების და მთლიანად განათლების სისტემის და სახელმძღვანელოების ავტორიტეტი და ღირსება; გამოავლინა საზოგადოების უცოდინარობა და გაუცხოება საბავშვო დარგის მიმართ, ლიტერატურათმცოდნეების არაპროფესიონალური მიდგომები საბავშვო ლიტერატურის მიმართ და ა.შ. და ა.შ. იქამდეც კი მივედით, რომ ზოგი მწერლების დაჭერასაც კი ითხოვდა ამა თუ იმ ლექსის გამო... გამომჟღავნდა ცინიზმის, დაუნდობლობის, უკულტურობისა და ლამის რეპრესიებისადმი ჩვენი ფარული „სიმპათიებიც“, რომელიც სამწუხაროდ, თურმე, დღემდე ცოცხლობს საზოგადოებაში. თუ ამას ყველაფერს ვიღაც კონკრეტული პიროვნება აგორებს და იცის რა შედეგზეც გავა მისი მოწადინება, ის ჩემ თვალში უზნეო კრიმინალია, თუ ამას აკეთებენ კონკრეტული სახელმძღვანელოს მხარდამჭერები, ესეც გაუმართლებელია, თუ ამას არავინ აკეთებს, უბრალოდ, ერთობიან სრულიად უმიზეზოდ, ესეც უზნეობად მიმაჩნია. ეს ალბათ სოციოლოგიური კვლევის თემაა.

ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ საზოგადოებას, მით უფრო ჩვენნაირს, რომლის დიდი ნაწილიც შეუმდგარია, დაუსაქმებელია, დაკომპლექსებულია, ამბიციურია და მუდმივად სტრესშია, რა თქმა უნდა, არასდროს დაეზარება არც ქრისტეს ხელახალი ჯვარცმა, არც ილიასთვის შუბლის გახვრეტა, არც არავის დასმენა და დამუნათება, დაცინვა და განადგურება, მაგრამ მაინც გამართლებულად მიმაჩნია ამ საკითხზე ხმამაღალი საუბარი, პროტესტი და დაგმობა. მხოლოდ ცალკეული პიროვნებების არა, დიდი მასშტაბი მიიღო ამ კამპანიამ საერთოდ ლიტერატურო გვერდებზეც. მინდა, რომ ამ საკითხებზე სხვებიც საუბრობდნენ, არა მხოლოდ მხვერპლი „იცავდეს თავს“.

**– ერთი ტენდენციაც იკვეთება, ხშირ შემთხვევაში, ეს ამონარიდები საზოგადოებას მიეწოდება, როგორც ნიმუშები სასკოლო სახელმძღვანელოებიდან... ბუნებრივია რეაქციაც – რა ცუდ ლექსებს ასწავლიან პირველკლასელებს! ვის ინტერესშია ეს კამპანია და ხომ არ უმზადებს გზას იმათ, ვინც სკოლებში „დედა ენის“ შეტანის მომხრეა?**

– მძიმე ბრალდებაა, თუმცა, გამორიცხული არც ეგაა. სახელმძღვანელოების ბიზნესი, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ერთი მნიშვნელოვანი ბიზნესია წიგნის გამომცემლობებისთვის. და რადგან ბიზნესს თავისი ინტერესები აქვს, მოდი ეს ვკითხოთ მათ, ვისაც ამ სფეროში საქმიანობა უწევს და ჩემზე მეტი კომპეტენცია აქვთ. მე, როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, რომელსაც არაფერი მაკავშირებს ამ ბიზნესთან, გარდა საბავშვო ავტორობისა, რომელიც შეიძლება მოხვდეს თავისი ნაწარმოებებით ამა თუ იმ ახალ სახელმძღვანელოში, ნუ გამომატანინებთ დასკვნებს. ასეთ კითხვებზე უნდა პასუხობდნენ გამომცემლები ან სულაც განათლების სამინისტროს შესაბამის უწყებათა წარმომადგენლები. მხოლოდ ერთს ვიტყვი, როცა სამინისტრომ დაუშვა სახელმძღვანელოების ღიად განხილვის პრეცედენტი, ჯერ მიანიჭა და შემდეგ გაუუქმა გრიფები წიგნებს, შემდგომ უკვე ახალი გრიფირების მტკივნეული პროცესები დაიძრა და საკონკურენციო გარემოც დაიძაბა, მას მერე შემოვიდა მოდაში საბავშვო ავტორებზე თავდასხმები. ფაქტია, სახელმძღვანელო, როგორც ასეთი, უკავშირდება ამ უსიამოვნო აჟიოტაჟს. ის ფოტოები, რომელიც საბავშვო წიგნებიდან ვრცელდებოდა და ამ მასობრივ ისტერიას იწვევდა, სულაც არ ეკუთვნის სახელმძღვანელოებს, მაგრამ მისთვის, ვინც ასეთ ანონიმურ ფოტოებს იღებს და სოციალურ ქსელში ანთავსებს, რა თქმა უნდა ახლობელია ლიტერატურა, წიგნი და იცის , როგორ მიაღწიოს შედეგს. ამას ემატება უკვე მასის მხრიდან ე.წ. „ბულინგი“ ავტორებისა და საჯარო შეურაცხყოფა, რომელიც წესიერ ქვეყანაში კანონით ისჯება.

**– ცოტა ხნის წინ, მსგავსი თავდასხმის ობიექტი გახდა ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“. რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, ნუთუ დღევანდელ საზოგადოებას უჭირს ლიტერატურული ნაწარმოების სათანადოდ აღქმა?**

– დიახ, აბა სხვა რაა ამის მიზეზი? წლებია ადამიანები გაუუცხოვდნენ საზოგადოდ კულტურას, ლიტერატურას, წიგნს... არის საოცარი დეფიციტი ტელევიზორების ეკრანიდანაც – საუბარი კულტურაზე, ლიტერატურაზე, წიგნზე, პერსონაჟებზე... იცით, მწერლები, საერთოდ იაშვიათად ჩანან ეკრანზე, არსად არ ისმის მათი საუბარი, აზრი... მე არ ვგულისხმობ ტელეფეისებს, რომლებიც მუდმივად ამ საქმეს ემსახურებიან. მე ვამბობ იმ სივრცეს, რომელიც რაღაც ამაღლებულზე, სულიერებაზე, სერიოზულ პრობლემებზე ესაუბრება ხალხს. 30 წელია ისმის მხოლოდ ჩხუბი, კამათი, ლანძღვა, ჭორი, დაძაბულობა... მაშინ ჩანს მწერალიც, მღვდელიც, მეცნიერიც, სპორტსმენიც, თუ რაიმე სენსაციური და ნეგატიური ხდება... ესაა ერთ-ერთი მიზეზიც, რომ ჩვენმა საზოგადოებამ იცის რა ფერის საცვალი აცვია მავან ტელესახეს, მაგრამ არ იცის, რომ მაყვალა მრევლიშვილი, 30 წლის გარდაცვლილი კლასიკოსი, უთანამედროვესი ავტორია თავისი საოცარი შემოქმედებით და არც ის გაეგება, რომ საბავშვო ლიტერატურა არ არსებობს ფანტაზიის, იუმორის, ჯადოქრობის, სიცრუის სიბრძნის გარეშე... არც ის იცის, შატაიძემ რა დაწერა ან მასწავლებელს ან სახელმძღვანელოს შემდგენს რისთვის დასჭირდა ესა თუ ის ნაწარმოები, პასაჟი ან პერსონაჟი. ავადაა სამწუხაროდ საზოგადოების დიდი ნაწილი, დასტრესილი, დაბოღმილი და თვითკმაყოფილი, რომ მას და მის უცენზურო აზრს შეუძლია დაკარგული ჭეშმარიტება აპოვნინოს ყველას... პროფესიონალებმაც კი „ისახელეს“ თავი და დაიჯერეს, რომ კონტექსტიდან ამოგლეჯილი და პერსონაჟის ნათქვამი ორი წინადადებით, შეიძლება ავტორზე და მის შემოქმედებაზე „მოთქმა-გოდება“... რა გვჭირს, ვერ ვხსნი, მაგრამ ვიცი, რომ კარგი არაფერი გვჭირს. ვაჟა-ფშაველა ოცი წლის მერე რომ გადაასვენეს დიდუბიდან მთაწმინდაზე, მის საფლავზე საბჭოთა ჩინოვნიკები მწერლის ჩამორჩენილი იდეალების შესახებ საუბრობდნენ... ჩვენ რამ უნდა გაგვაკვირვოს, საუკეთესო მწერლები და ხელოვანები, მთელი გვარები, ოჯახები დავხვრიტეთ და გადავტეხეთ ჩვენივე განვითარების ხერხემალი... მაგრამ ნუთუ აღაფერი არ უნდა გავიაზროთ და ისევ ბოროტებამ გვმართოს?

**– უცნაურია, რომ ამ კამპანიის მსხვერპლი გახდა მაყვალა მრევლიშვილი, უფრო მეტად კი ის, რომ მის განმქიქებლებს შორის ბევრს, სამწუხაროდ, თანამედროვე პოეტი ჰგონია (მათი სტატუსებიდან გამომდინარე)...**

– ეს რომ ერთს ჰგონებოდა ან თუნდაც ათს, სამ-ოთხმილიონიან საქართველოში, იმასაც გავიკვირვებდი, მაგრამ როცა მასზე ასე დამამცირებლად საუბრობდა ასობით და ლამის ათასობით ადამიანი, მათ შორის ისეთებიც, ვინც თვითონ ეპოტინება პოეტის სახელს და პოეზიას, ეს სავალალოა, თავზარდამცემიც კი...

მე და ჩემი კოლეგები, რომლებიც ამდენი წელია ამ დარგში ვშრომობთ, უამრავ ცოცხალ შეხვედრებს ვატარებთ სკოლებში, ბაღებში, გაოგნებულები ვართ, სახელსაც ვერ ვარქმევთ ამას, რაც ხდება. ამდენი განმქიქებლიდან, ერთ ადამიანს არ გასჩენია კითხვა, რა წიგნებიდან არის ესა თუ ის ამონარიდი? წიგნი არავის აინტერესებს, არც მწერლის სიმართლე. მთავარია ჰქონდეთ ფოტო, რომელზეც ანონიმურად, ნაწარმოების სათაურის, ავტორის, მთარგმნელის, გამომცემლობის მითითების გარეშე დაინახავენ რაღაცას, რაც მათ მაღალკეთილშობილებას საკუთარი ბავშვებისათვის საფრთხედ მოეჩვენება. ასე რომ, ზღაპრები ზღაპრულობის და ლექსები პოეტური ფანტაზიების გარეშე უნდა ვწეროთ. მაგალითად ასე „ჯამი ჭურჭელია“, „გოგონა სკოლაში მივიდა“, „ძაღლი ყეფს“. აბა, გაბედეთ და გადაუხვიეთ ამ რუხი, მძიმე და რუტინული რეალობიდან... გაბედეთ და არ დაწეროთ ლექსი ფარ-ხმალზე...

ესაუბრა ლალი თვალაბეიშვილი

 დისკუსია „დედა ენის“ გარშემო

# იაკობ გოგებაშვილისეული „დედაენის“ მეთოდიკური საფუძვლები

## მცდარი მოარული აზრები „დედაენის“ შესახებ

საქართველოში განათლებისა და მეცნიერების საქმე სულ უკან-უკან მიდის. ეს იმაშიც ჩანს, რომ საჯარო პოლემიკებსაც კი მეცნიერული და ლოგიკური საფუძვლიანობა აკლია. მაგალითად, სანამ I კლასის მშობლიური ენისა და წიგნიერების საკითხებზე დასკვნებს გამოვიტანთ, მანამ ამ საკითხების სამეცნიერო-მეთოდიკური საფუძვლები უნდა შევისწავლოთ. ამ დროს არათუ არ დაგვეხმარება, არამედ პირიქით, ხელსაც ძლიერ შეგვიშლის ჩვენი შთაბეჭდილებები, ასოციაციები, სიმპათია-ანტიპათია და მოარული შეხედულებები. სიტყვა-ცნება „დედაენა“ და წინადადება „აი ია“ მართლაც ბრწყინვალე მიგნებებია, მაგრამ ეს მხოლოდ ორი წვეთია იმ ურთულესი საკითხების ზღვაში, რომლებიც პირველკლასელთა „დედაენის“ სამეცნიერო-მეთოდიკურ საფუძველს შეადგენს. 6-წლიანი ბავშვის ფსიქოლოგია, აღქმის, აზროვნებისა და ყურადღების (ზოგადად ნებისყოფის) ფსიქოლოგია და წიგნიერების უნარ-ჩვევათა ფსიქოლოგიური საფუძვლები თუ არა, იაკობ გოგებაშვილის მეთოდიკური ნაშრომები მაინც უნდა გვქონდეს წაკითხულ-გააზრებული.

სწორედ აღზრდა-განათლების ერთადერთი ნამდვილი მეცნიერული საფუძვლის – პედაგოგიკური ფსიქოლოგიის – უგულებელყოფა და „ექსპერტების“ უპასუხისმგებლო ზერელეობაა ის მთავარი მიზეზი, რომლის გამოც საქართველოში განათლებისა და მეცნიერების საქმე სულ უკან-უკან მიდის.

„დედაენის“ შესახებ დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა და „ექსპერტებს“ შორისაც კი მცდარი მოარული აზრებია გავრცელებული.

1. *ვითომ „დედაენა“ არის მხოლოდ იაკობისეული წიგნის სახელწოდება.* სინამდვილეში „დედაენა“ არის იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილი სიტყვა (იმ დროისთვის– ნეოლოგიზმი, შესაძლოა, კალკიც კი – შდრ. ინგლისური mother tongue). ეს მშვენიერი სიტყვა დამკვიდრდა ქართული ენის ლექსიკაში და მისი მნიშვნელობაა არა მხოლოდ ერთი კონკრეტული სახელმძღვანელოს სახელწოდება, არამედ, ზოგადად, ადამიანის მშობლიური ენა (შეგვიძლია გადავამოწმოთ ქართული ენის აკადემიურ განმარტებით ლექსიკონში). ენაში საყოველთაოდ დამკვიდრებული სიტყვის გამოყენება კი ყველა ქართველს შეუძლია, მათ შორის თავისი სახელმძღვანელოს სახელწოდებაშიც.

2. *ვითომ ამჟამინდელ მოსწავლეთა დედ-მამის ან ბებია-ბაბუის თაობა იაკობისეული „დედაენით“ სწავლობდა.* სინამდვილეში იაკობისეული „დედაენა“ სკოლებში აღარ გამოიყენებოდა სულ მცირე 1950-იანი წლებიდან (უფრო მეტიც, ალბათ 1930-იანი წლებიდან). მოქმედი „დედაენების“ ავტორები იყვნენ, მაგალითად, ბოცვაძე და ბურჯანაძე, შემდეგ – ვალერიან რამიშვილი (რომელიც იაკობისეული მეთოდიკის მართლაც კარგი მცოდნე იყო). მართალია, მათ სახელმძღვანელოებს ეწერა „შედგენილია იაკობ გოგებაშვილისეული „დედაენის“ მიხედვით“, მაგრამ ასევე აწერია მრავალი სხვა ავტორის სახელმძღვანელოებსაც. 1930-იანი წლების შემდეგ იაკობისეული ნამდვილი „დედაენა“ გამოიცა მხოლოდ ორჯერ: 1980-იანი წლების ბოლოს და 2000-იან წლებში, მცირე ტირაჟით (თუკი არ გვეშლება, საქართველოს საპატრიარქოსთან დაკავშირებულ გამომცემელთა მიერ). მასწავლებლებს სამინისტრო არ უშლიდა ამ წიგნების გამოყენებას (არც ახლა უშლის), მაგრამ ამ წიგნებით მხოლოდ ათიოდე მასწავლებელი ასწავლიდა. რატომ? იმიტომ, რომ გადამუშავების გარეშე ამ სახელმძღვანელოთი სწავლება მართლაც გაუმართლებელია – მოძველებულია ენა (მართლწერის, ლექსიკისა და სტილისტიკის მხრივ), მოძველებულია ტექსტების ნაწილი, მეთოდიკურ-პოლიგრაფიული მხარე (წიგნის იაკობისეული დაკაბადონება, განსაკუთრებით – დაწყვეტილი სტრიქონები); თითქმის არაა შეკითხვა-დავალებები, სააზროვნო სავარჯიშოები და სხვა.

მაშასადამე, მცდარია (ანაქრონიზმია) მოწოდება „დავაბრუნოთ „დედაენა“ სკოლაში!“ სინამდვილეში კამათი ეხება იმ საკითხს, თუ ვის მიენიჭოს ამ სახელმძღვანელოს გადამუშავების ექსკლუზიური უფლება. ესე იგი გარკვეული პირები თუ ჯგუფები ცდილობენ, მონოპოლიურად დაეუფლონ ქართულ სიტყვას „დედაენა“ და იაკობისეული სახელმძღვანელოს გადამუშავებისა და გამოცემის უფლებას.

მაგრამ ვის აქვს ასეთი მონოპოლიის უფლება?! ანუ ვის აქვს იმის უფლება, რომ შეზღუდოს სამეცნიერო-მეთოდიკური ძიებები? ეს თავად იაკობსაც კი აღაშფოთებდა. მაგალითად, საუკეთესო დამსახურებულმა მასწავლებელმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, აწ განსვენებულმა დოდო ნაზირიშვილმა რამდენიმე ბრწყინვალე აღმოჩენით გაამდიდრა მეთოდიკური მეცნიერება. კერძოდ I კლასის წიგნიერებისთვის საუკეთესოა „ფერადი მარცვლების“ მეთოდი, რომელმაც ათეულობით წლის განმავლობაში პრაქტიკულად დაამტკიცა შედეგიანობა. ეს და სხვა ახალი, გამოცდილი ნაყოფიერი მეთოდები ერთი მონოპოლისტი ჯგუფის ცენზურას უნდა დაექვემდებაროს?

3. *ვითომ იაკობისეული „დედაენა“ ჩვენი პირველკლასელი ბავშვის ასაკზეა მორგებული.* სინამდვილეში იაკობმა სახელმძღვანელოები 8-წლიანი ბავშვებისთვის დაწერა. ხოლო ვისაც ჰგონია, რომ 2 წელიწადის განსხვავება უმნიშვნელოა, ან რომ თანამედროვე 6-წლიანი ბავშვი ენობრივი და ნებელობითი უნარიანობით (მათ შორის ყურადღების მოკრებისა და შენარჩუნების უნარიანობით) 2 წლით უსწრებს იაკობისდროინდელ 8-წლიან ბავშვს, მას შორეული წარმოდგენაც კი არა აქვს ბავშვის ფსიქოლოგიაზე.

4. *ვითომ პირველი კლასის მშობლიური ენის გაკვეთილების მთავარი მიზანი კითხვა-წერის სწავლებაა; ვითომ ბავშვმა მშობლიური ენა „ისედაც იცის“* (ამიტომ საჩქაროდ ინგლისურს უნდა დაეწაფოს). სინამდვილეში კი არათუ პირველკლასელმა ბავშვმა, არამედ ფილოლოგიის ფაკულტეტის მრავალმა სტუდენტმა და მრავალმა აქტიურმა ჟურნალისტმაც კი არ იცის წესიერად ქართული ენა და ქართული სიტყვები. უფრო უარესიც – სავალალოა, რომ მრავალი მასწავლებელიც კი ვერ აყალიბებს აზრებს ერთი აბზაცის ფარგლებში ისე, რომ ნაწერი აზრობრივად, სტილისტიკურად და გრამატიკულად გამართული და ლექსიკით მდიდარი იყოს... სავალალოა, რომ მრავალი რუსი ეკონიმისტი თუ ინჟინერი უკეთესად ფლობს რუსულ ენას, ვიდრე მრავალი ქართველი ჟურნალისტი თუ მასწავლებელი – ქართულს. ესეც ჩვენი განათლების სისტემის შედეგია.

სანამ 6-წლიანი ბავშვის ენობრივი უნარიანობა მშობლიურ ენაზე არ გაიფურჩქნება, მანამ არც პატრიოტიზმს ჩაეყრება საფუძველი, არც პიროვნულ განვითარებას და არც აზროვნების განვითარებას. მთავარი მიზანია არა კითხვა-წერა, არამედ ბავშვის ენობრივი ცნობიერების გახსნა და განვითარება, ქართული ენის მადლთან და საუნჯესთან ზიარება, ქართულენოვანი სამყაროს აგების საფუძვლის ჩაყრა [„ახალი განათლება“, 28.12.2017]. სკოლაში მთავარი საგანი მშობლიური ენა და ლიტერატურა უნდა იყოს, ლოგიკური აზროვნებაც კი უფრო მეტად მასზეა დამოკიდებული, ვიდრე მათემატიკაზე (კარგი სწავლების პირობებში).

5. ვითომ იაკობისეულ „დედაენაში“ მთავარია და ავტორისეულია კითხვა-წერის სწავლების მეთოდიკა. სინამდვილეში იაკობმა რუსული (კ. უშინსკისეული) და ნაწილობრივ გერმანული მეთოდიკები გადმოაქართულა. ამ მეთოდიკაში მისი შედგენილი ანუ ორიგინალურია მხოლოდ ქართული საყრდენი სიტყვების, მარცვლებისა და ასოების სისტემა. ეს სისტემა ნამდვილად კარგია და თითქმის არც მოძველებულა. მაგრამ ამ მხრივ მთავარია არა ეს სისტემა, არამედ კითხვა-წერის სწავლების ძირითადი მეთოდი. ის კი იაკობს არ შეუქმნია. უფრო მეტიც, ის მეთოდიკა, რომელსაც ტრადიციული „დედაენა“ ემყარება, თვითონ იაკობს არც კი მიაჩნდა საუკეთესოდ. ამას აქვე დავასაბუთებთ.

## კითხვა-წერის სწავლების მეთოდიკის მთავარი ტიპები

ეს საკითხი ჩვენ დაწვრილებით გვაქვს განხილული „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში [10-16.11.2016 – ადვილია ინტერნეტში მოძიება]. მოკლე შეჯამება:

**I. სინთეზური (სინთეზურ-ანალიზური) ანუ ალმავალი მეთოდები:**
**(სურათი+) ასო → მარცვალი → სიტყვა → ასოები → სიტყვები → წინადადება → ტექსტი.**
**II. ანალიზურ-სინთეზური ანუ დაღმავალ-ადმავალი მეთოდები:**
**(სურათი+) სიტყვა → მარცვალი → ასო → სიტყვა → წინადადება → ტექსტი.**
**III. ანალიზური ანუ დაღმავალი მეთოდები:**
**(სურათი+) ტექსტი → სტრიქონი ანდა წინადადება → (სურათი+) სიტყვა → (მარცვალი) → ასო.**

**გაწაფული (მოქნილი) კითხვა:**
სიზუსტე+გაბმულობა+გააზრებულობა.

თანამედროვე მეცნიერებამ აღიარა, რომ არ არსებობს ერთი უნივერსალური, ყველასთვის საუკეთესო მეთოდიკა. ამის მიზეზი ორია: კონკრეტული ენები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან; ის, რაც კარგია ერთი ენისთვის, შეიძლება არ გამოდგეს სხვანაირი ბუნების მქონე ენისთვის; და მეორე – ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან ბავშვებიც, მათი წამყვანი უნარიანობის ტიპი სხვადასხვაა (ჰ. გარდნერის მიხედვით); ის, რაც კარგია, მაგ., ენობრივი უნარის ტიპისთვის, შეიძლება არ გამოდგეს მხედველობითი თუ კინესთეზიური ტიპისთვის.

თანამედროვე მეცნიერებამ მთავარი „ოქროს წესი“ დაადგინა – მეთოდი აუცილებლად **დაბალანსებული** ანუ შეწონასწორებული უნდა იყოს.

როგორც სახელწოდება გვეუბნება, დაბალანსება გულისხმობს ანალიზისა და სინთეზის შეწონასწორებას; აგრეთვე – ბგერაზე მუშაობისა და ასოზე მუშაობის, ანუ ფონოლოგიისა და გრაფოლოგიის შეწონასწორებას. გულისხმობს აგრეთვე აქტივობათა დიდ მრავალფეროვნებას (დაუშვებელია სულ ერთფეროვანი და სწორხაზოვანი მეთოდიკით სწავლება – ასეთ პირობებში ბავშვების დიდი ნაწილი ვერ ეღირსება მათი ტიპისთვის შესაფერის აქტივობებს). დაბალანსებული ან დაუბალანსებელი შეიძლება იყოს როგორც სინთეზურ-ანალიზური, ისე ანალიზური და ანალიზურ-სინთეზური მეთოდები. მეთოდებმა სახელწოდებები მიიღო იმის მიხედვით, თუ რომელია მათთვის წამყვანი და უპირატესი – ანალიზი თუ სინთეზი.

პრაქტიკაში წმინდა სახით არც სინთეზური და არც ანალიზური მეთოდი არ არსებობს – ანალიზური მეთოდიც იყენებს ხოლმე სინთეზს და სინთეზურიც – ანალიზს. მაგრამ იმისათვის, რათა მეთოდი იყოს დაბალანსებული, ეს უნდა ხდებოდეს გეგმაზომიერად და სისტემატურად – და არა აქა-იქ და შემთხვევითად. უფრო ზუსტად: თუნდაც რომ მეთოდი იყოს წმინდად დაღმავალი, მასში გეგმაზომიერად და სისტემატურად უნდა იყოს სინთეზის სავარჯიშოები, საკმარისად უნდა განმტკიცდეს ბგერა-ასოს შესატყვისობა; ესე იგი, უნდა ისწავლებოდეს ცალკეული ასოებიც, სიტყვის გარეშე (და არა მხოლოდ ასოები მთელ-მთელ სიტყვებში); პირიქით – აღმავალ მეთოდში გეგმაზომიერად და სისტემატურად უნდა იყოს ანალიზის სავარჯიშოები და მუშაობა მთლიან სიტყვებზე და ტექსტებზე; ამის გარდა, ყოველგვარ მეთოდში საკმაო ყურადღება უნდა დაეთმოს ფონოლოგიურ სავარჯიშოთა სისტემას.

ბუნებრივი შეკითხვაა: XXI საუკუნეში გრიფირებული I კლასის სახელმძღვანელოები რომელ მეთოდიკას ემყარება? ამ შეკითხვაზე გარკვეულ პასუხს მცოდნე მასწავლებლები ვერ იღებდნენ სახელმძღვანელოთა ავტორებთან საგანგებოდ წიგნების გასაცნობად და სარეკლამოდ მოწყობილ შეხვედრებზეც კი; არც მასწავლებელთათვის განკუთვნილ მეთოდიკურ სახელმძღვანელოებში წერია დასაბუთებული განმარტება. ავტორებს ზოგადად მიაჩნიათ, რომ მათი მეთოდიკა დაბალანსებულია (ვინც იცის ამ ცნების მნიშვნელობა და მნიშვნელოვნება). მაგრამ ესეც გავრცელებული მცდარი შეხედულებაა: თითქოს დაღმავალ-აღმავალი მეთოდიც და აღმავალ-დაღმავალი მეთოდიც თავისთავადაა დაბალანსებული. ამ შეხედულებაში ორი შეცდომაა:

I. მეთოდში ხშირად არ არის ხოლმე საკმარისი მუშაობა ანალიზზე ან სინთეზზე. მაგ., საქართველოში საყოველთაოდ დამკვიდრებული სინთეზურ-ანალიზური მეთოდი ანალიზს კი მოიცავს, მაგრამ ძალიან არასაკმარისად – არაა ანალიზის სავარჯიშოთა სისტემატური და სისტემური, მიზანმიმართული თანწყობა. ასევე, პირიქით, ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, შესაძლოა, საკმარისად არ მოიცავდეს სინთეზის სავარჯიშოებს.

II. ანალიზისა და სინთეზის შეწონასწორების დროსაც კი მეთოდი შეიძლება არ იყოს დაბალანსებული – ვინაიდან მეთოდში ფონეტიკა და გრაფიკა არ იყოს დაბალანსებული: მეთოდი არ მოიცავდეს საკმარის ფონოლოგიურ სავარჯიშოებს. ამასთან, ფონოლოგიური აქტივობის მხოლოდ ცნებასაც კი ვერ გაიაზრებს ის, ვინც აზროვნებს ტრადიციული მცდარი ტერმინით „ასო-ბგერა“ [„ახალი განათლება“, 20-26.10.2016].

სინამდვილეში როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე გრიფირებული მეთოდები ძალიან დაუბალანსებელია – მათში წონასწორობა ძლიერ დარღვეულია: სინთეზი და გრაფიკა მეტისმეტად სჭარბობს ანალიზსა და ფონოლოგიას; მუშაობა მხოლოდ ცალმხრივ სინთეზზე და ცალმხრივ გრაფოლოგიაზეა, ხოლო ანალიზი და ფონოლოგია მეტისმეტად მცირედაა, ან სულ არაა.

მცოდნე ექსპერტი ამას ზერელე ხედვითაც კი დაინახავს. მართლაც, სისტემატური და სისტემური ანალიზური და ფონოლოგიური აქტივობები ძირითადად წინასაანბანო პერიოდში უნდა ჩატარდეს. საამისოდ კი წინასაანბანო პერიოდი ხანგრძლივი უნდა იყოს. მაგალითად, ვალერიან რამიშვილისეულ პროგრამაში წინასაანბანო პერიოდი 2-თვიანი იყო (სამწუხაროდ, მასწავლებლები მას ამოკლებდნენ). 2 თვე მინიმუმია. საუკეთესო კი ერთწლიანია: ესაა ნამდვილი ნულოვანი კლასი, საბავშვო ბაღის გარემოში (თუნდაც ეს სკოლის შენობაში ხდებოდეს), სადაც ბავშვები ნოხებზე კოტრიალობენ, სადაც მერხებთან არ სხედან – ანუ კითხვა-წერას არ სწავლობენ (დაახლოებით ასეა ყველა წარმატებულ განათლების სისტემაში). ხოლო თუკი ამის საშუალება არა გვაქვს, წინასაანბანო პერიოდი 3-4-თვიანი მაინც უნდა იყოს – ნებისმიერი მეთოდით სწავლებისას! [„ახალი განათლება“, 08-14.12.2016]. ერთთვიანი ან უფრო მოკლე წინასაანბანო პერიოდით შეუძლებელია მეთოდის დაბალანსება და კარგი შედეგების მიღწევა. მოჩქარეს მოუგვიანდება. მთავარი ის კი არაა, თუ მერამდენე ასო აქვს კლასს გავლილი, არამედ ის, თუ როგორ წაიკითხავენ უცნობ ტექსტს წლის ბოლოს და მეორე კლასის ბოლოს. თანამედროვე გრიფირებულ სახელმძღვანელოებში კი ერთთვიანი წინასაანბანო პერიოდიც არ იგულისხმება.

საზოგადოდ, დაუშვებელია I კლასის დიდი ნაწილის დაყვანა ასოების (და მათემატიკაში – ციფრების) ხატვაზე და კალიგრაფიისთვის დიდი ყურადღების დათმობა. I კლასში უნდა გაიხსნეს ბავშვის ენობრივი აზროვნება (აგრეთვე – ლოგიკურ-მათემატიკური აზროვნება), ბავშვი მშობლიური ენის სამყაროს უნდა ეზიაროს. ასონიშანთა და ციფრნიშანთა წერა-ხატვა კი ამას ძლიერ აფერხებს, რადგან 6-წლიანს არ ძალუძს ერთდროულად ორ რამეზე ყურადღების გამახვილება. იაკობის სიტყვებით, პედაგოგიკის კანონია: *„ერთბაშად ბავშვს მიეცეს მარტო ერთი სიძნელე. ამ კანონს მეტად ღრმა საფუძველი აქვს: როდესაც თქვენ ბავშვს კისერზედ ახვევთ, მაგალითად ორ საქმეს ერთბაშათა, მაშინ თითოეული მათგანი ბავშვს ერთი-ორად უძნელდება და მთელი ჯაფა ერთი-ოთხად მატულობს“* [„რჩეული თხზულებანი“, ტ. 4, თბ.-1990, გვ. 83]. როცა ბავშვის ცნობიერება უმეტესად გრაფიკით და თითების წვრილ-წვრილ მოძრაობათა კოორდინაციითაა დაკავებული, ყურადღების მიღმა რჩება მშობლიური ენაც და მათემატიკაც. მით უმეტეს, რომ 6-წლიანთა უმრავლესობას ღილების შეკვრაც კი უძნელდება. ასოებისა და ციფრების წვრილ-წვრილ ნაწილთა მოხაზვა მათთვის იმდენად მძიმე ტვირთია, რომ არამარტო მთელი ყურადღებითა და გონებრივი ძალისხმევით, არამედ მთელი სხეულითაც კი წერენ. ამ დროს ადგილი აღარ რჩება არავითარ აზროვნებას, შემოქმედებას, მშობლიურ ენასა თუ მათემატიკას. ამიტომ მართებული თანმიმდევრობაა **კითხვა-წერა** და არა **წერა-კითხვა** (თვით კომპოზიტი „წერა-კითხვა“ XVIII საუკუნის ყოვლად უვარგისი, ცალმხრივად სინთეზურ-სქოლასტიკური მეთოდიკის ნაშთია; ამ ტიპის მეთოდიკა გადმოცემულია, მაგ., სულხან-საბასეული ლექსიკონის დანართში).

## კითხვა-წერის სწალების იაკობისეული მეთოდიკები

იაკობ გოგებაშვილის პირველი სახელმძღვანელო (1865 წლის გამოცემა) ანალიზურ მეთოდზე იყო აგებული. მაგრამ 1876 წლიდან იაკობმა ანალიზური მეთოდი ანალიზურ-სინთეზურით შეცვალა. რატომ? ამას თვითონ იაკობი აგვიხსნის. *„თავის დროზე ჩვენ ავხსენით, რა გარემოებებმა და მოსაზრებებმა გაგვხადა იძულებული, მიგვეტოვებინა უფრო ძნელი, ანალიტიკური მეთოდი და მიგვეცა უპირატესობა უფრო ადვილი სინტეტიური მეთოდისათვის. ეს მიზეზები იყვნენ: შინაური ხასიათი სწავლებისა და სრული უმეცრება ჩვენი სახლობის სფეროსა სწავლების ხელოვნებაში, მცირე რიცხვი შკოლებისა, მათი მოუწყობლობა და მტკნარი უხეირობა მასწავლებელთ პერსონალისა, რომლებიც შედგებოდა პრიჩეტკინებიდგან და მღვდელებიდგან. ეს საბუთები ეხლა აღარ არსებობენ. სწავლება უმეტეს ნაწილად გადავიდა სახლებიდგან შკოლებში, ამ შკოლებში მასწავლებლობა დაიჭირეს ყმაწვილმა კაცებმა, რომლებიც ბევრათ თუ ცოტათ მომზადებულნი არიან თავისი თანამდებობის ჯეროვანი აღსრულებისათვის და რომელთაც მარჯვე მოხმარება რთული მეთოდისა ძლიერ არ უნდა გაუჭირდეთ. ამიტომ ჩვენ დროიანად დავინახეთ დავბრუნებოდით ანალიტიკურ მეთოდსა და მასთან იგი დაგვეკავშირებინა სინტეტიურ მეთოდთან. მაგრამ რადგანაც სპეციალისტები თითქმის არ მოგვეპოვებიან ჩვენ ხალხურ შკოლებში მასწავლებელთა, ამიტომ ანბანის მეთოდი უნდა მიგვეყვანა სიადვილის უკანასკნელ ხარისხამდის. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ ჰაზრით, რომ ხარისხი სწავლების მეთოდის სარგებლობისა პირდაპირ დამოკიდებულია მის მარჯვედ მოხმარების სიადვილეზედ და უკეთესი მეთოდი უარესზედ მავნებელია და გადამრევი ბავშვების გონებისათვის, თუ მისი ხეირიანად მოხმარება შეუძლებელია სპეციალურათ მოუმზადებელ მასწავლებელთათვის < > ერთი პრაქტიკული დაბრკოლებაც ემატება*

*ყველა ამას. ასოების შესწავლის შენყვეტა რამდენსამე ადგილას, ლექსების და მოთხრობების ჩამატებით, კითხვის სწავლებას თითქმის მთელ წელიწადს გაუჭიანურებს და ეს ძალიან არ ეპიტნავება გლეხსა, რომელსაც სურს რომ ბავშვმა, შემოდგომაზედ შემოსულმა, საშობაოდ მაინც გაათაოს ანბანი, კითხვა ისწავლოს. ეს გარემოება ყველა ანბანის შემადგენელს უნდა თვალწინა ჰქონდეს, თორემ შეიძლება ხალხს გაუქარწყლდეს ის სუსტი სურვილიც შვილების სწავლებისა, რომელსაც ეხლა მასში ვხედავთ.“* [„რჩეული თხზულებანი“, ტ. 4, თბ.-1990, გვ. 74,75,185].

აი, როგორი მიზეზებითა და საფუძვლით ჩამოყალიბებულა ანალიზურ-სინთეზური მეთოდი. არსებითად – იძულებით. როგორც იაკობი თვითონ წერს, მოუმზადებელი მასწავლებლის ხელში ანალიზური მეთოდი ვერ ამართლებს (მაშინ კი მასწავლებელთა ტრენინგების ჩატარების არავითარი საშუალება არ არსებობდა; მით უმეტეს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა მაშინ არაპროფესიონალი იყო, ძირითადად მხოლოდ წერა-კითხვა და ანგარიში იცოდნენ). ანალიზური მეთოდები საუკეთესოა მოსწავლისთვის, ყველაზე სახალისოა, რადგან კითხვა სანახევროდ თამაშ-თამაშით ისწავლება; მოსწავლეებს ყველაზე მეტად შეაყვარებს წიგნს; მაგრამ – რთულია და ძნელია მასწავლებლისთვის. ამის გარდა, ანალიზური მეთოდი ძვირადღირებულია, რადგან აუცილებლად სჭირდება დიდძალი თვალსაჩინოება, მათ შორის – დიდი ფორმატის ფურცლებზე მსხვილად დაბეჭდილი ტექსტები ან ძალიან დიდი ფორმატის წიგნები. ამიტომ გახდა იძულებული იაკობი, რომ იმ დროისათვის პრაქტიკულად უფრო გამართლებული ანალიზურ-სინთეზური მეთოდი აერჩია.

სამწუხაროდ, უცოდინრობის გამო, სახელმძღვანელოთა ავტორები და მასწავლებლები ამ კარგ მეთოდს ცვლიან სინთეზურ-ანალიზური მეთოდით (წმინდად სინთეზური XIX საუკუნის ბოლოს მეცნიერებს უკვე აღარც აინტერესებდათ). მაგრამ იაკობს სიცოცხლის ბოლომდე მიაჩნდა, რომ სინთეზურ-ანალიზური მეთოდი ცუდია, ანალიზურ-სინთეზური – კარგი, ხოლო საუკეთესო კი ანალიზური მეთოდია.

XX საუკუნის მეცნიერებამ (განსაკუთრებით – გეშტალტფსიქოლოგიამ) სრულად დაადასტურა და კიდევ უფრო გააღრმავა იაკობ გოგებაშვილის ეს შეხედულება.

მაშასადამე, იაკობისეული „დედაენის“ მეორე გამოცემაში (რომელიც იაკობის ერთადერთი „დედაენა“ ჰგონიათ) კითხვაწერის მეთოდიკა, ჯერ ერთი, მხოლოდ ნაწილობრივაა იაკობისეული. მეორეც, ეს მეთოდიკა თავად იაკობს მიაჩნდა კარგ, თუმცა არა საუკეთესო მეთოდიკად (ხოლო თანამედროვე სახელმძღვანელოების არსებითად სინთეზურ-ანალიზური მეთოდიკა ცუდ მეთოდიკად მიაჩნდა).

მაშ რა არის ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი იაკობისეულ „დედაენაში“, სახელწოდებისა და „აი ია“ წინადადების გარდა? ესაა სწორედ ის, რაც მთავარი უნდა იყოს I კლასის მშობლიური ენის გაკვეთილებისთვის: ქართული ენის სამყარო, ეროვნული, ეკოლოგიური და ზნეობრივი ღირებულებები; თანაც ეს ღირებულებები არა აბსტრაქტულ-პუბლიცისტიკური ტერმინებითა და ყალბადსამეცნიერო მსჯელობებითაა გადმოცემული (როგორც ამჟამინდელ წიგნებშია), არამედ დიდოსტატი მასწავლებლის გუმანით – ბავშვისთვის მისაწვდომი, ბუნებრივი და ხალასი თვალსაჩინო შინაარსით; ზღაპრებით, ლექსებითა და მოთხრობებით; საქართველოს ბუნებისმცოდნეობის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის საწყისების ცოცხლად და ლამაზად გაერთიანებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამაში. სწორედ ესაა ქართულენოვანი სამყაროს საფუძვლების აგება. „დედაენა“ „ბუნების კარმა“ და საქართველოს შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მოთხრობებმა უნდა შეავსოს და გაგაგრძოს – ისე, როგორც იაკობმა დაგეგმა [ეს სხვა სტატიის საგანია]. სამწუხაროდ, არც ერთი თანამედროვე სახელმძღვანელო არც კი ცდილობს, რომ იაკობისეულ ორიგინალურ და მშვენიერ სასწავლო პროგრამას დაუახლოვდეს. სამაგიეროდ, ებღაუჭებიან ვითომ ანალიზურ-სინთეზურ, სინამდვილეში კი გაფუჭებულ, სინთეზურ-ანალიზურ მეთოდს; სამაგიეროდ, ჭარბადაა გლობალისტური სიყალბეები (როგორც ჩვენი ბავშვობის დროს კომუნისტური სიყალბეები იყო). სამაგიეროდ, ინგლისურის მოძალება და აშშ-ს მონური თაყვანისცემაა (ოღონდ გაცილებით მეტად, ვიდრე ჩვენი ბავშვობის დროს რუსულის მოძალება და რუსეთის თაყვანისცემა იყო).

*„ყმანვილი < > წახალისდება. ერთი სიტყვა აღძრავს მასში მთელ რიგ სხვა სიტყვებს, სხვა საგნების მოგონებებს* (დანიელ პენაკმა ამ საოცრებას „ალქიმია“ უწოდა! – თ.მ., ზ.ვ.) *და მოსწავლე იგრძნობს მაშინვე კავშირს ბუნებას, ცხოვრებასა და სწავლას შორის. < > რასაკვირველია, ყმანვილი კითხვას უფრო გონივრულად და უფრო ჩქარა სწავლობს < > სიტყვების კითხვის დროს მასწავლებელმა სასტიკი ყურადღება უნდა მიაქციოს მასზედ, რომ ბავშვები სიტყვების ჰაზრს, მნიშვნელობას, შინაარსს გონებას ადევნებდნენ, რომ სიტყვები მათ გონებაში აღვიძებდეს საგნების სახესა, რომ იგინი არ მიეჩვივნონ უაზრო მეხანიკურ კითხვასა...“* [„რჩეული თხზულებანი“, ტ. 4, თბ.-1990, გვ. 76,77].

**თამარ მახარაძე**
***საგანმანათლებლო-შემოქმედებით კავშირ „ქორბუდას“ თავმჯდომარის მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარე, მასწავლებელთა მწვრთნელი; ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე დაწყებითი (I-IV) კლასების სერტიფიცირებული მასწავლებელი;***
**ზურაბ ვახანია**
***განათლების მეცნიერებათა აკადემიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიის პროფესორი; მასწავლებელთა მწვრთნელი; „საუკეთესო შედეგების მქონე სერტიფიცირებული მასწავლებლის“ სტატუსის მქონე 6 დარგში***

**გამოცდილება**

# წიგნიერების კომპეტენციის განვითარების მეთოდები და სტრატეგიები დაწყებით კლასებში

წიგნიერებას, როგორც სასწავლო პროცესის დამოუკიდებელ ერთეულსა და სტრატეგიულ მიზანს, საგანგებო ყურადღება ეთმობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

წიგნიერება თავის თავში მოიცავს მრავალმხრივი უნარების განვითარებას, ესენია: კრიტიკული აზროვნება, წაკითხულის განხილვა, ანალიზი, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, არგუმენტირებული მსჯელობა, დისკუსია და სხვა. თუ დავაკონკრეტებთ, წიგნიერება, გააზრებულ კითხვასთან ერთად, მოიცავს აქტიური მოსმენის, ზეპირმეტყველებისა და წერითი აზროვნების უნარებს და მაქსიმალურად განავითარებს ზეპირი, ვიზუალური, ნაბეჭდი თუ ციფრული გზით მიღებული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს.

კარგად გავაცნობიერე წიგნიერების კომპენტენციის განვითარების მნიშვნელობა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის და გადავწყვიტე, დავხმარებოდი ჩემს მოსწავლეებს გააზრებული კითხვის უნარის გაუმჯობესებაში; პირველ რიგში დავინყე ზრუნვა კლასში წიგნიერი გარემოს შექმნაზე. პროექტ G-PRIED-ს ფარგლებში გამოცემული, ფერადი ილუსტრაციებით გაფორმებული მხატვრული საბავშვო წიგნებითა და საინფორმაციო ტექსტების შემცველი გაზეთებით მოვაწყვე საკლასო ბიბლიოთეკა. ბავშვებსაც გაუჩნდათ მოტივაცია, შეემატებინათ „ბიბლიოთეკისთვის“ რამდენიმე წიგნი ოჯახებიდან. მშობელთა აქტიური ჩართულობით, ეს პრობლემაც გადაიჭრა – გამოთქვეს სურვილი, შეეძინათ შვილებისთვის რამდენიმე წიგნი, რომელსაც პერიოდულად გამოატანდნენ საკლასო ბიბლიოთეკისთვის. არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეები იღებენ მათთვის საინტერესო წიგნს და იწყებენ კითხვას, დაინტერესებულებს კი, კითხვის გასაგრძელებლად, მიაქვთ სახლში. მშობლების ინიციატივით, შემოვიღეთ ოჯახური კითხვის დღე. მშობლები კვირაში ერთ, მათთვის მოსახერხებელ დღეს, უთმობენ ერთობლივ კითხვას, რომლის შედეგების გასაცნობად, ბავშვებმა დაიწყეს მკითხველის დღიურების წარმოება:

**მკითხველის დღიური**

**ოჯახური კითხვის თარიღი**.....

**წიგნის სათაური და ავტორი**.....

1. რის შესახებ წაიკითხეთ დღეს?

დახატე სურათი და დაწერე 2-3 წინადადება;

2. რა იგრძენი კითხვის დროს?

შემოხაზე ერთ-ერთი და შემდეგ შეავსე ქარგა;

☺ ☹ 😐 😈

სიხარული დაღონება არაფერი გაბრაზება

**მე** ---------- **იმიტომ, რომ** ----------

3. შენი აზრით, რა მოხდება შემდეგ? დახატე სურათი და დაწერე 2-3 წინადადება იმის შესახებ, რაც მოხდება:

**მე ვფიქრობ, რომ**----------

მოსწავლეთა მოტივაციის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, გავაკეთე წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის საჭირო უნარების მასტიმულირებელი პოსტერები:

➢ *„ვინ არის კარგი მკითხველი“* – პოსტერი დავყავი ნაწილებად. დავაწერე მოსწავლეთა სახელები; ჩემი თხოვნით, ბავშვები მათთვის გამოყოფილ ადგილზე, წერენ წაკითხული წიგნების სათაურებს, ავტორებს; იქვე ამაგრებენ სტიკერებზე დაწერილ მთავარ აზრებს, საყვარელი პერსონაჟების სახელებს, მათ მისაბაძ თვისებებს, რეკლამებს, თუ რატომ უნდა წაიკითხონ ეს წიგნი სხვებმა და თავიანთი დამოკიდებულების გამომხატველ რეპლიკებს.

➢ *„მოდი, ვიაზროვნოთ!“* – ამ პოსტერზე ერთად დავხატეთ, თუ როგორ კითხულობენ ბავშვები წიგნებს, შემდეგ დავამაგრეთ 6 დიდი ჯიბაკი, რომელზეც დავაწერეთ მახასიათებლები:

- ***ამ ამბავმა გამახსენა...***
- ***მე რომ პერსონაჟი ვიყო..***
- ***ჩემი აზრით...***
- ***პერსონაჟთან მაქვს კითხვა...***
- ***პერსონაჟს ვურჩევ...***
- ***ამბის გაგრძელება ...***

ყოველი ახალი ნაწარმოების შესწავლის თუ წაკითხული წიგნის შემდეგ, მოსწავლეები აფიქსირებენ თავიანთ აზრებს მითითებული მახასიათებლების მიხედვით და ათავსებენ შესაბამის ჯიბაკში. კვირის ბოლოს კი ვაწყობთ პრეზენტაციებს, დაგროვილი მასალების ურთიერთგაზიარების მიზნით.

ეფექტური აღმოჩნდა შერჩეული ლიტერატურის ერთობლივად კითხვა და გააზრება ხმამაღლა ფიქრის მეთოდით. კითხვის პროცესში ვიყენებ ამ მეთოდის რვავე სტრატეგიას, როგორიცაა:

1. **ვარაუდების გამოთქმა;**
2. **ვიზუალიზება;**
3. **ახსნა-განმარტება;**
4. **პირადი დამოკიდებულების გამოხატვა;**
5. **შეკითხვების დასმა;**
6. **კავშირების დამყარება;**
7. **შეჯამება;**
8. **რეფლექსია/შეფასება.**

კითხვას ვწყვეტ სათანადო ადგილას და ბავშვებთან ერთად ხმამაღლა „ვფიქრობ“, რა შეიძლება მოხდეს შემდეგ, ვახდენთ წაკითხული ეპიზოდის ვიზუალიზებას, ანუ გონებაში „გაცოცხლებას“, მოსწავლეები კონტექსტის მიხედვით ცდილობენ უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა-განმარტებას, ხმამაღლა გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას პერსონაჟის ყოველი ქმედების მიმართ, წაკითხულის უკეთ გააზრების მიზნით, ვსვამთ შეკითხვებს განვითარებულ ამბავთან დაკავშირებით, მოსწავლეები იხსენებენ მსგავს სიტუაციებს რეალური ცხოვრებიდან, ბოლოს ვაკეთებთ რეფლექსიას: ვაჯამებთ და ვაფასებთ წაკითხულს – რა განწყობა დაგვეუფლა ტექსტის წაკითხვის შემდეგ და რატომ, რამ განაპირობა ამბის ასე განვითარება, რა შეიცვლებოდა, პერსონაჟი რომ სხვაგვარად მოქცეულიყო, როგორ ახსნიდა თავის ქცევის მიზეზს, ჩვენ როგორ მოვიქცეოდით და რატომ და ა.შ. ამ მეთოდით კითხვისას, ჩემი „ხმამაღლა ფიქრებით“, ვახდენ მოდელირებას და ვახერხებ მოსწავლეების გამოწვევას, პროვოცირებას, რომ ისინიც მივაჩვიო კითხვისას ფიქრს, გააზრებულად კითხვას და არგუმენტირებულ მსჯელობას.

პარალელურად, მოვიძიე გააზრებაზე ორენტირებული სახალისო აქტივობები, რომელთაგან ჩემი მოსწავლეების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შემდეგმა სტრატეგიებმა:

- ***ინტერვიუ პერსონაჟთან:***

მოსწავლეები ირგებენ პერსონაჟის როლს და პასუხობენ კითხვებს პერსონაჟის პოზიციიდან;

- ***დროის მანქანა:***

ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი ბავშვებს გადმოაქვთ თანამედროვე დროში და თავიანთი ფანტაზიით ჰყვებიან, ჩვენი დროის შესაფერისად, როგორ განვითარდებოდა მოვლენები;

- ***გაყინული ეპიზოდი:***

მოსწავლეები ჩემ მიერ შერჩეულ ეპიზოდს აცოცხლებენ, „ყინავენ“, არავერბალური საშუალებებით, ჟესტით და მიმიკით, ახერხებენ პერსონაჟის ხასიათისა და ტექსტის ფრაგმენტის გადმოცემას. დანარჩენები ცდილობენ გამოიცნონ, ტექსტის რომელი ეპიზოდი და პერსონაჟია წარმოდგენილი.

- ***დავხატოთ-აღვწეროთ-დავწეროთ:***

მოსწავლეები თვითონ ირჩევენ წაკითხულიდან მათთვის ყველაზე შთამბეჭდავ ეპიზოდს, ჯერ ხატავენ, შემდეგ აღწერენ კლასის წინაშე, რა დახატეს და რატომ. დასკვნით ეტაპზე კი წერილობით გადმოსცემენ ნახატით გაცოცხლებულ ეპიზოდს.

- ***მწერლობანა:***

ლამაზად გაფორმებულ მუყაოს ყუთებს გავუკეთე წარწერები: პერსონაჟები, თვისებები, პრობლემები. მოვათავსე მათში უამრავი სავარაუდო ვარიანტი. ჩემი თხოვნით, მოსწავლეები ირჩევენ მათთვის სასურველ პერსონაჟს, მის შესაფერის თვისებას და სავარაუდო პრობლემას. შემდეგ გადაიქცევიან „მწერლებად“ და მათზე დაყრდნობით წერენ პატარა ამბებს.

- **მიმანიშნებელი ქარგები:**

წაკითხულის ანალიზსა და შეფასებაში ბავშვებს ძალიან ეხმარებათ მიმანიშნებელი ქარგები:

❖ მე შევამჩნიე, რომ .....
❖ მე გამიჩნდა შეკითხვა .....
❖ მაინტერესებს, რატომ .....
❖ მე დავფიქრდი .....
❖ როგორც ჩანს, .....
❖ ვერ გავიგე, .....
❖ არ ვარ დარწმუნებული .....
❖ მე ვიცი, რასაც გრძნობს .....
❖ მე ძალიან მომეწონა .....
❖ მე წარმომიდგენია, .....
❖ მე გავიაზრე .....
❖ მე გამაკვირვა .....
❖ მე რომ ..... ვიყო, .....
❖ მე აღმოვაჩინე, რომ .....

ამ აქტივობების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეთა ინტერაქცია, რაც დადებითად აისახა მათი წიგნიერების კომპეტენციის განვითარებისათვის საჭირო უნარების ფორმირებაზე. წიგნიერების დონის ამაღლებამ ბავშვებს სხვა საგნების სწავლაც გაუადვილა, რადგან გააზრებულად სწავლის უნარი ნებისმიერი საგნის ათვისების აუცილებელი პირობაა. როცა მოსწავლე გააზრებულად სწავლობს, იზრდება დამახსოვრების ხარისხი და მიღებული ცოდნის საჭიროებისამებრ გამოყენების შესაძლებლობაც. კარგად განვითარებული სააზროვნო უნარების მქონე მოსწავლე აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში, ადვილად ახერხებს მიღებული ინფორმაციის დახარისხებას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვას, თამამად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საგნისა თუ მოვლენის მიმართ. რაც მთავარია, სწავლა მისთვის აღარ არის უსიამოვნო, მექანიკურ გაზეპირებაზე დაფუძნებული ძალდატანებითი პროცესი. აქედან გამომდინარე, ეფექტიანი სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანი, წიგნიერების კომპენტენციის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობაა.

**ნინო გურეშიძე**
***ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაზალეთის საჯარო სკოლის I-III კლასების წამყვანი მასწავლებელი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდო-2018-ის საუკეთესო ათეულის წევრი***

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-24 წლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
2. პ. პაპავა, თ. ჭანტურია, „წიგნიერება“ (მასწავლებლის სახელმძღვანელო), სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012;
3. წიგნიერების კომპეტენციის განვითარება სადამრიგებლო საათზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
4. კარგი სკოლა – საგანმანათლებლო ვებპორტალის რესურსები. მისამართი: http://www.kargiskola.ge;
5. http://mastsavlebeli.ge/?p=11201

ՍԱՄՈՒԷԼՈՒ ԳԱՀՅԵՏՈՒԼԻ

# Տեղական ինքնակառավարում

**Դասի պլան**

| | |
|---|---|
| **Դպրոց՝** | Ախալքալաքի մունիցիպալիտետի Ախալքալաք քաղաքի թիվ 1 հանրային դպրոց: |
| **Առարկա՝** | Քաղաքացիական կրթություն |
| **Ուսուցիչ՝** | Սեդա ելքումյան |
| **Կրթության աստիճանը՝** | Բազային |
| **Դասարան՝** | IX |
| **Աշակերտների թիվը՝** | 25 |
| **Սահմանափակ հնարավորություններով աշակերտների թիվը՝** | 0 |
| **Դասի անցկացման ամսաթիվը՝** | 19.12.2018 |
| **Դասի համար անհրաժեշտ Ժամանակը՝** | 45 րոպե |
| **Թեմա՝** | Տեղական ինքնակառավարում |
| **Դասարանի կազմակերպման ձևը՝** | 7-8 աշակերտներից կազմված 3 խմբեր |
| **Ուսումնական պաշարներ և նյութեր՝** | Կահույքի վերադասավորում՝ խմբային աշխատանքի համար, համակարգչի և պրոյեկտորի նախապատրաստում: Դասագրքեր, յուրաքանչյուր խմբի համար ֆլիպչատների և մարկերների ապահովում, առաջադրանքի տպագրում: Աշխատանքային տետրեր, գրիչներ, գրատախտակ, կավիճ: |
| **Լրացուցիչ տեղեկատվություն՝** | Տեղական Ինքնակառավարման Եվրոպական Խարտիա, Վրաստանի Սահմանադրություն, Վրաստանի օրգանական օրենքը «Տեղական ինքնակառավարման մասին»: |
| **Դասի նպատակը՝** | Աշակերտները կգիտակցեն տեղական ինքնակառավարման կարևորությունը և գործառույթները, կիմանան, թե ե՞րբ և ինչու՞ պետք է դիմեն տեղական ինքնակառավարմանը, կկարողանան դասի ընթացքում ձեռք բերված գիտելիքների հիման վրա զարգացնել ինքնակառավարման հետ համագործակցության հմտություններ և կարողություններ, կազմել նախագծեր և ինքնակառավարման հետ վճռել կոնկրետ հիմնախնդիրներ: |
| **Ազգային ուսումնական պլանի ստանդարտները՝** | **Քաղ.IX.10.** Աշակերտը կարող է վերլուծել Վրաստանի պետական կառավարման համակարգը:<br>1. Դատողություն է անում կենտրոնական ու տեղական իշխանությունների միջևտարբերությունների մասին:<br>2. Կազմում է իրենց բնակավայրի վճռվելիք հարցերի ցանկ և համապատասխանաբար անվանում է իշխանության այն ներկայացուցիչներին, որոնց պետք է դիմի առաջին անգամ հիմնավորում է իր եզրակացությունը (ճյուղի և մակարդակի /ատյանի համաձայն):<br>3. Քննարկում է ինքնակառավարման մարմնի /քաղաքապետի ընտրության կանոնները, համեմատում է Վրաստանի և այլ երկրի օրինակները, առանձնացնում է, իր կարծիքով, նրանցից ավելի արդարացի կանոնները:<br>4. Հիմնավորում է ինքնակառավարման զարգացման կարևորությունը վրացական պետության համար: |
| **Աշակերտների նախնական գիտելիքները և հմտությունները՝** | Աշակերտները գիտեն, թե որոնք են պետական իշխանության ճյուղերը, գիտեն, թե ինչ է նշանակում իշխանությունը, տարբերում են կենտրոնական և տեղական իխանությունները: |
| **Գնահատում և ինքնագնահատում՝** | Աշակերտները գնահատվում են որոշող գնահատման տեսքով: |

**Դասի գործընթացը.**

Քայլ 1. Նախաբան՝ նախնական իմացության ամրապնդում (ամբողջ դասարանը – 5 րոպե):

➢ Ի՞նչ ճյուղերի է բաժանված պետական իշխանությունը

Պատասխան ⇨




Այնուհետև ուսուցիչն աշակերտներին տալիս է անցած նյութն ամրապնդող հարցեր.

Նկարագրեք օրենսդիր իշխանությունը:
Պատասխան »»»»

Նկարագրեք գործադիր իշխանությունը:
Պատասխան »»»»

Նկարագրեք դատական իշխանությունը:
Պատասխան »»»»

Կարո՞ղ եք ասել, ի՞նչով են տարբերվում կենտրոնական և տեղական իշխանությունները:
Պատասխան »»»»

Քայլ 2՝ Ի՞նչ է տեղական ինքնակառավարումը:Ծանոթանանք տեղական ինքնակառավարման մարմինների կառուցվածքին: (նոր նյութի մատուցում – 7 րոպե): Ժողովրդավարությունն անհնար է պատկերացնել առանց արդյունավետ ինքնակառավարման: Պատահական չէ, որ 1991 թ-ից, երբ Վրաստանն անկախության ակտն ընդունեց, սկսվեց իշխանության ապակենտրոնացման գործընթացը: 1995 թ-ի օգոստոսի 24-ին ընդունված Վրաստանի Սահմանադրությունն էլ ամրագրեց տեղական ինքնակառավարման փաստը: Իշխանության ապակենտրոնացման ճանապարհին հատկանշական է «Տեղական ինքնակառավարման մասին եվրոպական խարտիան», որը մեր երկրի կողմից ստորագրվել է 2002 թ-ին և 2004 թ-ին վավերացվել Վրաստանի խորհրդարանի կողմից: 2005թ-ի դեկտեմբերի 16-ին էլ ընդունվել է Վրաստանի օրգանական օրենքը «Տեղական ինքնակառավարման մասին (https://matsne.gov.ge/ka/document/download/2244429/40/ge/pdf)»:

➢ Ի՞նչ է տեղական ինքնակառավարումը:

Հոդված 2. Տեղական ինքնակառավարման հասկացությունը: Տեղական ինքնակառավարումը ինքնակառավարվող միավորում հաշվառված Վրաստանի քաղաքացիների իրավունքն է և հնարավորությունը, իրենց կողմից ընտրված Տեղական ինքնակառավարման մարմինների միջոցով, Վրաստանի Օրենսդրության հիման վրա վճռել տեղական նշանակության հարցեր:

➢ Այժմ տեսնենք, թե ինչպիսի կառուցվածք ունեն տեղական ինքնակառավարման մարմիններ

Աղբյուր 1 — Տեղական ինքնակառավարման մարմինների կառուցվածքը




Աղբյուր 2 Սակրեբուլոյի նախագահի և փոխնախագահի ընտրության վերաբերյալ տեսանյութից փոքրիկ դրվագի դիտում (2 րոպե):

Աղբյուր 3 Զանգվածային լրատվության միջոցից Սակրեբուլոյի հանձնաժողովների կազմավորման մասին փոքր հատվածի ընթերցում (2 րոպե):

Ժողովրդական ինքնիշխանության սկզբունքը ենթադրում է, որ պետական իշխանության աղբյուրը ժողովուրդն է:Այս սկզբունք էլ պարզ ընդգծված է սխեմայում:
Մունիցիպալիտետի սակրեբուլոն (ավագանին) մունիցիպալիտետի ներկայացուցչական մարմինն է: Այն կոլեգիալ վարչական մարմինը է: Մունիցիպալիտետի սակրեբուլոն (ավագանին) ընտրվում է 4 տարի ժամկետով, մունիցիպալիտետի տարածքում գրանցված Վրաստանի քաղաքացիների կողմից, ուղղակի ընտրությամբ, համընդհանուր, հավասար ընտրական իրավունքի հիման վրա, գաղտնի քվերակությամբ:Մունիցիպալիտետի ավագանու անդամների թիվը և ընտրության կարգը սահմանվում է«Վրաստանի ընտրական օրենսգիրք» Վրաստանի օրգանական օրենքով: Մունիցիպալիտետի սակրեբուլոյի պատգամավոր կարող է ընտրվել ընտրական իրավունք ունեցող Վրաստանի քաղաքացին21 տարեկանից:
Մունիցիպալիտետի գործադիր մարմինը և մունիցիպալիտետի բարձրագույն պաշտոնատար անձը ինքնակառավարվող համայնքում մունիցիպալիտետի քաղաքապետն է, և քաղաքապետը՝ ինքնակառավարվող քաղաքում: Քաղաքապետը ներկայացնում է մունիցիպալիտետը և ապահովում մունիցիպալիտետի լիազորությունների իրականացում սույն Օրենքի, Վրաստանի այլ օրենսդրական և օրենքի ոլորտում գտնվող նորմատիվ ակտերի և համապատասխան մունիցիպալիտետի նորմատիվ ակտերի համաձայն:
Քաղաքապետը հաշվետու է մունիցիպալիտետի ավագանու նբնակչության հանդեպ:Քաղաքապետն ընտրվում է 4 տարի ժամկետով, ուղղակի ընտրություններով, համընդհանուր, հավասար ընտրական իրավունքի հիման վրա, գաղտնի քվերակությամբ, «Վրաստանի ընտրական օրենսգիրք» Վրաստանի օրգանական Օրենքով սահմանված կարգով: Քաղաքապետ կարող է ընտրվել ընտրական իրավունք ունեցող Վրաստանի քաղաքացին 25 տարեկանից:
Քայլ 3՝ Հետազոտություն «Սակրեբուլոյի գործունեության իրավական հիմունքները» (խմբային աշխատանք – 25 րոպե):
Ուսուցիչն առաջարկում է ծանոթանալ Սակրեբուլոյի գործունեության իրավական հիմունքներին, պաստառների վրա գրել բացատրությունը (5 րոպեի ընթացքում),այնուհետև 5 րոպեի ընթացքում էլ ներկայացնել կատարված առաջադրանքը (5+ 3*5=20 րոպե) և անցկացնում դասարանական բանավեճ:
1 խումբը ստանում է երկու հոդված սահմանադրությունից (https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35) և փորձում այն մեկնաբնել, ֆլիպչատի վրա ներկայացնելով խմբի կարծիքը՝5 րոպեի ընթացքում:

Աղբյուր 4

Վրաստանի Սահմանադրության 7–րդ հոդվածի 4-րդ կետով սահմանված է,որ «Վրաստանի քաղաքացիները տեղական նշանակության գործերը կարգավորում են ինքնակառավարման միջոցով, օրենսդրությանը համապատասխան:
Հոդված 74. Տեղական ինքնակառավարումները, դրանց սահմանները, իրավական հիմքերը.
1. Վրաստանի քաղաքացիները տեղական նշանակության հարցերը կարգավորում են տեղական ինքնակառավարման ներկայացուցչական և գործադիր մարմինների միջոցով: Ներկայացուցչական մարմինը ընտրվում է գաղտնի քվեարկությամբ համընդհանուր, հավասար եւ ուղղակի ընտրական իրավունքի հիման վրա: Գործադիր մարմինները կատարում են ներկայացուցչական մարմինների որոշումները և պատասխանատվություն են կրում նրանց համար:
3. Տեղական ինքնակառավարումը իրականացվում է օրինական օրենքով սահմանված կարգով:

Պատասխան ⇨
2 խումբը ստանում է մի հոդված Տեղական ինքնակառավարման մասին եվրոպական խարտիայից (http://smr.gov.ge/Uploads/evropuli_q_354b65fe.pdf) և փորձում այն մեկնաբնել, ֆլիպչատի վրա ներկայացնելով խմբի կարծիքը:

Աղբյուր 5

Հոդված 3.Տեղական ինքնակառավարման հասկացությունը
1. Տեղական ինքնակառավարում ասելով հասկանում են տեղական ինքնակառավարման մարմինների իրավունքը և իրական կարողությունը՝ կանոնակարգելու պետական գործերի զգալի մասը և կառավարելու այն, գործելով օրենքի շրջանակներում, սեփական պատասխանատվությամբ և տեղի բնակչության շահերից ելնելով:
2. Այդ իրավունքն իրականացվում է խորհուրդների կամ ժողովների կողմից՝ ընտրված ազատ, փակ գաղտնի, հավասար, ուղղակի և համընդհանուր քվեարկության ճանապարհով: Խորհուրդները կամ ժողովները կարող են տնօրինել հաշվետու կամ գործադիր մարմինների: Այս դրույթը չի բացառում քաղաքացիների ժողովին, հանրաքվեին կամ քաղաքացիների ուղղակի մասնակցության ցանկացած այլ ձևի դիմելը այնտեղ, որտեղ դա թույլատրվում է օրենքով:

Պատասխան ⇨
3 խումբը ստանում է մի հոդված «Տեղական ինքնակառավարման մասին» Վրաստանի Օրգանական օրենքից7 և փորձում այն մեկնաբնել, ֆլիպչատի վրա ներկայացնելով խմբի կարծիքը:

## საშოდელო გაკვეთილი

Աղբյուր 6

Հոդված 6. Վրաստանի քաղաքացիների կողմից տեղական ինքնակառավարման իրականացման իրավունքը
1. Վրաստանի քաղաքացիները տեղական ինքնակառավարումն իրականացնում են Սահմանադրության, «Տեղական ինքնակառավարման մասին եվրոպական խարտիայի», Վրաստանի միջազգային պայմանագրերի և համաձայնագրերի, սույն Օրենքի և Վրաստանի այլ նորմատիվ ակտերի համաձայն:
2. Վրաստանի քաղաքացիներն իրավունք ունեն սույն Օրենքով և Ընտրական օրենսդրությամբ սահմանված կարգով ընտրել տեղական ինքնակառավարման մարմիններ և ընտրվել սույն մարմիններում, անկախ ռասայից, մաշկի գույնից, լեզվից, սեռից, կրոնից, քաղաքական և այլ հայացքներից, ազգային,էթնիկ և սոցիալական պատկանելությունից, ծագումից, գույքային վիճակից և կոչումներից:

Պատասխան ⇨
Քայլ 4՝ Համագործակցություն (խմբային աշխատանք – 3 րոպե):
Ուսուցիչը տեղեկացնում է, որ նախատեսել է աշակերտների այցելություն – հանդիպում Տեղական ինքնակառավարման մարմինների հետ «Ծառայության մեկ օրը», առաջարկում է 3 խմբերում գրել մեկական հիմնախնդիր, որը գոյություն ունի համայնքում և որով կարող են ներկայացնել Տեղական ինքնակառավարման մարմիններին: Որպես տնային առաջադրանք, այդ հիմնախնդրի վերաբերյալ փոքր նախագծի պատրաստում է հանձնարարվում:Հիմնախնդիրները գրվում և բարձրաձայնվում են:
Քայլ 5՝ ամփոփում: Ուսուցիչը հարցնում է դասարանին. (ամբողջ դասարանը – 1 րոպե):
➢ Ի՞նչ է տեղական ինքնակառավարումը:
Պատասխան ⇨

### Դասի վերլուծում

2018 թվականի նոյեմբերի 19-ին Ախալքալաքի մունիցիպալիտետի Ախալքալաք քաղաքի թիվ 1 հանրային դպրոցի իներրորդ դասարանում անցկացվեց բաց դաս «Տեղական ինքնակառավարում» թեմայով, դասին ներկա էին գտնվում դպրոցի տնօրենը, գնահատման խմբի անդամները, պատմության և քաղաքացիական կրթության ուսուցիչները և Ախալքալաքի Սակրեբուլոյի մեկ պատգամավոր:
Դասը կազմակերպված էր ժամանակակից ուսուցման մեթոդներին հիման վրա, որոնք համապատասխանում էին յուրաքանչյուր անհատի անձնական կարողություններին:
Դասարանը կազմակերպված էր աշակերտների կողմից պատրաստված աշխատանքներով և ուսումնական ռեսուրսներով: Պաստառի վրա պատկերված էր Տեղական ինքնակառավարման մարմինների կառուցվածքը:
Դասը կազմակերպված էր քաղաքացիական կրթության դասավանդման ստանդարտներին համապատասխան՝ լսելու, կարդալու, խոսելու եւ գրելու, որն օգնեց աշակերտներին ակտիվորեն արտահայտել սեփական հմտությունները:
Միևնույն դասը կրկին անցկացնելու հնարավորություն ունենալու դեպքում , ես մեծ փոփոխություններ չէի անի, սակայն կփորձեի սկիզբում մի փոքր տեսանյութ ցուցադրել աշակերտների տեղական ինքնակառավարման մարմիններ կատարած այցի մասին և ավելի շատ ուշադրություն կդարձնեի աշակերտների ինքնաարտահայտման զարգացման վրա:
Դասը ընթանում էր ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչներին համապատասխան:
Վերջում ուսուցիչները դրական գնահատեցին դասը:
Արդյունքում աշակերտները նույնպես գոհ էին դասից, վերջում գնահատման խմբի անդամները շնորհակալություն հայտնեցին ուսուցչին և աշակերտներին:

**Մեդա Մելքումյան**
***Ախալքալաքի թիվ 1 հանրային դպրոցի Քաղաքացիական կրթություն առարկայի ուսուցչուհի***

### გაკვეთილის რეფლექსია

ახალქალაქის №1 საჯარო სკოლის IXა კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე „ადგილობრივი თვითმმართველობა“, რომელსაც სკოლის დირექტორი, შეფასების გუნდი, სამოქალაქო განათლების და ისტორიის პედაგოგები და ახალქალაქის საკრებულოს ერთი დეპუტატი დაესწრნენ.

გაკვეთილზე გამოყენებული იყო სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

კლასში წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა მიერ დამზადებული ნაშრომები და საგანმანათლებლო რესურსები. პოსტერზე გამოსახული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურა. მოეწყო სამოქალაქო განათლების სწავლების სტანდარტით გათვალისწინებული რამდენიმე აქტივობა: მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი და წერა, რაც დაეხმარა მოსწავლეებს საკუთარი უნარ-ჩვევების აქტიურ გამომჟღავნებაში.

ამავე გაკვეთილის ხელმეორად ჩატარების საშუალება რომ მქონდეს, ძირეულ ცვლილებებს არ შევიტანდი, მაგრამ შევეცდებოდი, მოსწავლეებისთვის მეჩვენებინა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში მათი ვიზიტის ამსახველი ვიდეო და გაცილებით მეტი ყურადღება დამეთმო მოსწავლეებში საკუთარი აზრის გამოთქმის უნარის განვითარებისთვის.

გაკვეთილი შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმების სტანდარტებს.

შეფასების გუნდის წევრებმა დადებითად შეაფასეს გაკვეთილი და მადლობა გადაგვიხადეს.

**სედა მელკუმიანი**
***ახალქალაქის №1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი***

## ინფორმაცია

# პროფესიული განათლება სკოლებში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის“ ორწლიანი საქმიანობა შეაჯამა და, პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ჩართულ მხარეებს მადლობის სიგელები გადასცა.

*„მნიშვნელოვანია, სკოლის მოსწავლეებს ადრეულ ასაკში ჰქონდეთ განვითარებული შრომითი უნარები და უფრო კარგად იცოდნენ, თუ რა შესაძლებლობები არსებობს პროფესიული განათლების მიმართულებით ქვეყანაში. მოგეხსენებათ, საპილოტე რეჟიმში უკვე დავიწყეთ საშუალო საფეხურზე პროფესიული განათლების ინტეგრაციის პილოტირება და მომავალში სრულ ინტეგრაციას ვაპირებთ, რაც უფრო მეტ ახალგაზრდას მოიზიდავს პროფესიულ განათლებაში. 200-ზე მეტი სკოლა უკვე ტექნიკურად არის აღჭურვილი იმისთვის, რომ პროფესიული კურსები ხორციელდებოდეს სკოლის ბაზაზე. მომავალში, განათლების რეფორმის ჭრილში, მოვიაზრებთ იმასაც, რომ სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის თანამშრომლობით ამოქმედდეს გადამზადების კურსები და საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა სერტიფიკატების მიღება შეძლონ. ეს ყველაფერი მათ დაეხმარებათ, უფრო მეტად იყვნენ მომზადებულები მომავალი პროფესიის არჩევისას“* – განაცხადა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ**.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, **მარიამ ჯაში** მიიჩნევს, რომ *„განათლების სისტემაში ფართოვდება არჩევანის შესაძლებლობები მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისთვის.*

*ეს არის სკოლებისა და კოლეჯების ერთობლივი თანამშრომლობის ნებაყოფლობითი ინიციატივა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სკოლის ბაზაზე მიიღონ პროფესიული განათლება. ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის კანონი, რომელიც პარლამენტმა 2018 წლის შემოდგომაზე მიიღო და რომელსაც, პრაქტიკულად, ახალ ეტაპზე გადაჰყავს პროფესიული განათლება. ვაფართოებთ განათლების მიღების შესაძლებლობებს, ასევე, ვაფართოებთ არჩევანს მოსწავლეებისთვის და აბიტურიენტებისთვის“.*

მისი თქმით, თუ ადრე კოლეჯის ეტაპზე მთავრდებოდა განათლების მიღების შესაძლებლობები და იყო მნიშვნელოვანი ბარიერები უმაღლესი განათლების ეტაპზე გადასასვლელად, ეს საკანონმდებლო ჩიხი უკვე აღმოფხვრილია. *„2019 წლის გაზაფხულიდან მოსწავლეებს შეეძლებათ, კოლეჯში მიიღონ როგორც პროფესიული განათლება, ასევე, სკოლის საატესტატო პროგრამა დაასრულონ და, სურვილის შემთხვევაში, განაგრძონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ის, რომ ჩვენ წელს შევქმენით თანაბარი შესაძლებლობები როგორც საჯარო, ასევე კერძო კოლეჯებისთვის, რაც ჯანსაღი კონკურენციის პირობებს იძლევა. მსგავსი პროექტები მნიშვნელოვანია იმით, რომ პროფესიული განათლების სწორად შეფასების შესაძლებლობას იძლევა და, დაინტერესების შემთხვევაში, ახალგაზრდებს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება,“* – აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.

სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა წარმატებით ხორციელდება 2017 წლიდან და მასში, დღემდე, საქართველოს ყველა რეგიონის 42 მუნიციპალიტეტიდან, 259 საჯარო სკოლაა ჩართული. პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი ძალები 43 სხვადასხვა პროფესიაში მოსინჯონ. 2018 წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით, პროგრამა 6.000-ზე მეტმა მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლემ გაიარა. 2019 წელს კვლავ დაგეგმილია პროგრამის მასშტაბების ზრდა, ამავე წლიდან ამოქმედდება პროფესიული უნარების განვითარების სასერტიფიკატო პროგრამა, რომლის ბენეფიციარებიც საჯარო სკოლების X-XII კლასების მოსწავლეები იქნებიან.

# ქაღალდის სეპარირებული შეგროვების კონკურსში გამარჯვებულები

მოსწავლეებმა 53 ტონა ქაღალდის ნარჩენი შეაგროვეს და კომპანიებს გადასცეს გადასამუშავებლად. პროექტი, CENN-ისა და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს სამ რეგიონში (კახეთი, აჭარა, შიდა ქართლი) და თბილისში განხორციელდა. მისი მიზანი იყო მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, ასევე ქვეყანაში ნარჩენების მართვის სექტორის მოდერნიზების ხელშეწყობა.

პროექტში 135 სკოლა მონაწილეობდა და მათგან, შეგროვებული ქაღალდის ნარჩენების რაოდენობის მიხედვით, 7 გამარჯვებული გამოვლინდა. გამარჯვებული სკოლების წარმომადგენლებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ**, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, **ლევან დავითაშვილთან** ერთად, მადლობა გადაუხადა კონკურსში წარმატებული მონაწილეობისთვის და სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

# ლესია უკრაინკა –148

25 თებერვალი ცნობილი უკრაინელი პოეტის, ლესია უკრაინკას დაბადების დღეა. საიუბილეო დღის აღსანიშნავად, სურამში, ლესია უკრაინკას ბიუსტის ყვავილებით შემკობის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე **მიხეილ გიორგაძე**, უკრაინის კულტურის მინისტრის მოადგილე **იური რიბაჩუკი**, საქართველოში უკრაინის ელჩი **იჰორ დოლჰოვი**, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი **ნიკოლოზ ანთიძე**, ხაშურის მერი **გიორგი გურასპაშვილი** და შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე **ნუგზარ სამხარაძე** ესწრებოდნენ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, სურამში, უკრაინელი პოეტისა და მწერლის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის სრულმასშტაბიან რეაბილიტაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ადგილობრვ თვითმართველობასთან თანამშრომლობის საფუძველზე განახორციელებს.

მემორიალური სახლის აღდგენისა და სამუზეუმო მოწყობის ინიციატივა საქართველოში უკრაინის სრულუფლებიან ელჩს, იჰორ დოლჰოვს ეკუთვნის, რომელიც სარეაბილიტაციო პროცესში აქტიურად იქნება ჩართული.

რეაბილიტაციის პროცესი, სახლ-მუზეუმის შენობის კონსტრუქციულ გამაგრებასთან და მისი ინტერიერის მოწყობასთან ერთად, ეზოს გალავნის გამაგრებასაც ითვალისწინებს. ინფრასტრუქტურულად მოეწყობა სახლ-მუზეუმის ეზოც. სარეაბილიტაციო პროცესის მოსამზადებელ ეტაპს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რაც სამშენებლო მოედნის მოწყობასა და სამუზეუმო ექსპონატების დაცულ სივრცეში გადატანაში გამოიხატება. სარეაბილიტაციო პროექტი სახლ-მუზეუმის თანამედროვე მუზეუმოგრაფიასაც მოიცავს, რაც სამომავლოდ კულტურულ სივრცეს მეტ შინაარსობრივ დატვირთვას შესძენს. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას სააგენტო 2019 წლის გაზაფხულისთვის დაასრულებს.

ლესია უკრაინკას მემორიალური მუზეუმი, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, სურამელი აზნაურის, ცნობილი ეთნოგრაფის, ნიკოლოზ აბაზაძის XIX საუკუნის სახლშია გახსნილი. მუზეუმის ფონდებში დაცულია ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალები: პოეტის კრებულები, ხელნაწერები, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ნუმიზმატიკური, ფოტო და ეთნოგრაფიული მასალა. მუზეუმის გახსნის ინიციატორი მწერალი გიორგი ლეონიძე იყო.

ლიტერატურის სწავლებისთვის

# „ვითარცა სურინ ირემსა“...

რწმენას, სასოებას, ზეციურ სიყვარულს მიეახლა ქართველი კაცი, როცა მშობლიურ ენაზე წაიკითხა საღრმთო წერილი. ბიბლიურ წიგნთა შორის უპირველესად „დავითნი“ ითარგმნა, რამეთუ იგი ღვთისმსახურების უმთავრესი ელემენტი იყო (*ფსალმუნი* – ებრაულად – *თეჰილიმ* – საგალობელნი, ღვთის სადიდებელნი, ლოცვანი ღვთისადმი), სჯულის სწავლა-მოძღვრების შემცველი.

ქართული „დავითნი“ 150 ფსალმუნს შეიცავს. ბიბლიური სახეები ავსებს, შთააგონებს ქართულ კლასიკურ მწერლობას.

41-ე ფსალმუნი (*„ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო ძლიერო და ცხოველო“*) განეფინა რუსთველის, გურამიშვილისა და გალაკტიონის პოეზიაში.

ბიბლიის ლექსიკა, სიტყვიერი კონტექსტი, განწყობა განეფინება „ვეფხისტყაოსანს“. ღვთაებრივი სხივით განმსჭვალულ უკეთილშობილეს რაინდს, ავთანდილს, სიყვარულმა შთააგონა *„განმართვა დაბრკოლებათა“*, *„ვითარცა სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთსა, ეგრეთ სურინ სულსა მისსა“* ტარიელის შველა, ამად მოშორდა სასურველს, მოიმდურნა „ღმრთისა სწორნი“.

*„ყმამან უთხრა, უმართლე ხარ,*
*არ მამართლო მდურვად მისად,*
*მაგრა გაბრჭე, რა მიქნია სამსახური ტყვესა ტყვისად.*
*გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად,*
*მას ვეძებ და მას ვიგონებ, ვიარები, ველთა ვლი სად“.*
(„ვეფხისტყაოსანი“)

ამრიგად, სიყვარულს, პირველმიზეზთან მიახლების სურვილს, მოძრაობაში მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის ” პერსონაჟთა (და არა ოდენ მათი) შინაგანი ცხოვრება, რამეთუ უზენაესი სამართალი ღვთაებრივ სიყვარულშია გაცხადებული.

*„ვითარცა სურინ ირემსა“*... – გურამიშვილთან ქვეყნად ცოდვათა მომრავლებით შეძრწუნებული პოეტი ძველი აღქმის წინასწარმეტყველთა დარად გოდებდა, ძრახავდა, ამხელდა (*„შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთი ძვირისა“; „მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა...“*). გურამიშვილმა 41-ე ფსალმუნის გამოყენებით წარმოაჩინა XVIII საუკუნის საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება, ამხილა რუსთ ხელმწიფის მიერ შემოთავაზებული „მფარველობის არსი“, ცხადჰყო განათლებული, დიდებული მეფის, ვახტანგ VI-ის, საბედისწერო ნაბიჯი, მიუხედავად პატივისცემისა, რის გამოც *„შეექმნა მეფეს ჭმუნვა დიდი“* – საქართველო ხსნის, გაძლიერების ნაცვლად მტრის სათარეშოდ იქცა. შეიკრიბნენ ქართველი დიდებულები, დაიწყეს ბჭობა.

*„ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა,*
*ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა...“*
(„დავითიანი“)

ვისაც მოვლენების საღად ანალიზი და ქვეყნის მომავლის განჭვრეტა ძალუძდა (*„ვინც ხედავდა ბოლო საქმეს“*), წინასწარმეტყველურად აცხადებდა: *„...ნახავთ ბოლო გამოჩნდების“*, მაგრამ მეფეს ხალხისა და ქვეყნის ბედი მტკიცედ გადაეწყვიტა, ეშურებოდა კიდევაც, *„ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა“*...

ამ საბედისწერო „ნავეზრალმა“ ათქმევინა გურამიშვილს: *„ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი!“*

ბარათაშვილისა არ იყოს, *„ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა ან შენნი ძენი!“*

*„ვითარცა სურინ ირემსა“*... – გალაკტიონთან.

სულის შეძრწუნებას გვაგრძნობინებს გალაკტიონის „უდაბნოს ციკლის“ ლექსები. ბიბლიური ცოდნის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე გალაკტიონის ღვთივკურთხეული პოეზიის არსს. 1917 წელს დაიწერა „დროშები ჩქარა!“

*„გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...*
*დროშები ჩქარა!*
*თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,*
*ვით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო ანკარა...*
*დროშები ჩქარა!“*

41-ე ფსალმუნის ცნობილი ფრაზის *„ვითარცა სურინ ირემსა“* პარალელურად გააზრება მიგვაახლებს გალაკტიონის უსპეტაკეს სულს, შეგვაცნობინებს იმჟამინდელ განწყობასა და დაგვარწმუნებს, რომ ღვთაებრივ სიგიჟესთან წილნაყარი გონი გალაკტიონისა, „თმაგაწეწილი“ ფიქრი დასტრიალებს ღვთაებრივ მისტერიებს.

*„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“*... სამანმიუჩენელი უკიდეგანო სურვილის სიმბოლური სახეებაა, სურვილისა კი არა უფრო ძახილისა, ტკივილდაუყუჩებელი, გამწარებული ყვირილისა, ზესვლისა, დღეს, გამოღვიძების ჟამს, ერთადერთ ხელშესახებ რეალობად რომ ქცეულა. გალაკტიონის ლექსში გაელვებული დავით წინასწარმეტყველის ზეცისკენ აპყრობილი სახება ერთხელ კიდევ ხდის საცნაურს, რომ ზეციური ძალა არა მარტო ერთადერთი გონიერი საწყისია, რომელიც უნდა ვცნათ, სულთა მშველელი, კაცთა მოდგმის მხსნელი, თავისუფლების მომნიჭებელიცაა.

გზა ხსნისა – სურვილი უზეშთაესთან მიახლებისა, სიყვარულით ამაღლება ზნესრულობამდე, საქმით მეტყველი სულის წარმართვა ცისკენ, *„სულის შთამბერველისკენ“*, რამეთუ *„სიყვარული არს ღმერთი“*.

**ხათუნა ლომთაძე**

*სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის*
*ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
1. დავით წინასწარმეტყველი, „ფსალმუნნი“;
2. შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“;
3. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“;
4. გალაკტიონ ტაბიძე, „დროშები ჩქარა“.

# პერსონაჟთა ქეისები

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას პერსონაჟის გაანალიზება ერთ-ერთი პრობლემური საკითხია. მასზე ბევრს ვმუშაობთ, რადგან მხატვრული ნაწარმოების სიღრმისეული ანალიზისათვის უმნიშვნელოვანესია გმირის, როგორც პიროვნების იდენტიფიცირების პროცესი. ჩვენი დიდი მონდომების მიუხედავად, ხშირად მოსწავლე ვერ ახერხებს პერსონაჟის მრავალმხრივ შეფასებას, რასაც არაერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მასწავლებელმა უნდა შეძლოს, ბავშვის შემოქმედებითი სამყარო პერსონაჟს მიუახლოვოს, ასწავლოს, თავად დააკვირდეს მისი ფიქრების, ქმედებებისა და გადაწყვეტილებების მოტივებს, გაესაუბროს მას, როგორც მეგობარს, თანაუგრძნოს და დახმარების ხელი გაუწოდოს, ურჩიოს, როგორ დააღწიოს თავი წინააღმდეგობებს. ეს პროცესი მასწავლებლისგან მოითხოვს დინამიკურ და აქტიურ მუშაობას იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს, თავად მიაგნოს პასუხებს. მხატვრული ნაწარმოების გმირთან ასეთი კავშირი ავითარებს მოსწავლის აზროვნების სხვადასხვა მხარეს – კვლევის უნარს, მიმდინარეობს ერთმანეთზე დამოკიდებული სააზროვნო პროცესები, რომლებსაც საბოლოო შედეგამდე მიჰყავს იგი:

➢ **მეტაკოგნიცია** – მოსწავლე იწყებს ფიქრს ტექსტში გადმოცემული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ; სწავლობს კითხვების ფოკუსირებულად დასმას: რა? რატომ? რა მიზნით? რა იქნება შედეგი? რა იქნებოდა? უკავშირებს მას საკუთარ გამოცდილებას და იწყებს პერსონაჟის ქცევის ინტერპრეტირებას;

➢ **ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება** – წვდება პერსონაჟის გარემოს, რომელშიც იგი ცხოვრობს; აანალიზებს გმირის ქმედების წინაპირობებს;

➢ **პრაქტიკული აზროვნება** – სწავლობს პერსონაჟის ხასიათის თავისებურებებს მაგალითებიდან გამომდინარე;

➢ **ინტუიციური აზროვნება** – კრიტიკულად მიუდგება მის გადაწყვეტილებებს იმისთვის, რომ დაანახვოს გმირს რამდენიმე ალტერნატიული გზა;

➢ **ლოგიკური აზროვნება** – მოიფიქრებს და დაუგეგმავს რთულ ვითარებაში მყოფ პერსონაჟს გამოსავლის საუკეთესო ვარიანტს;

➢ **პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული აზროვნება** – მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ დაეხმარება რესოციალიზაციაში;

➢ **ხატოვანი (შემოქმედებითი) აზროვნება** – უკეთ წარმოსახვისათვის მისცემს პერსონაჟს ფორმას – დახატავს, გამოძერწავს, შეუქმნის შესაბამისი გარემოს მაკეტს;

➢ **ცოდნის ტრანსფერი** – პერსონაჟზე დაკვირვებით შეიძენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელსაც გამოიყენებს პრაქტიკაში.

ამ უნარების განვითარებისათვის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია **პერსონაჟის ქეისი.** ქეისსწავლების სხვა ფორმებისგან განსხვავებით, პერსონაჟის ქეისი არ მოიცავს მთელი ნაწარმოების, მასში დასმული პრობლემის ან მოვლენის ანალიზს, არამედ ყველა რაკურსით, მოვლენათა განვითარების კვალდაკვალ, აკვირდება კონკრეტულ პერსონაჟს და ყველაფერი, რაც ნაწარმოებში ხდება, მხოლოდ პერსონაჟის ქმედებაზე ზემოქმედების კუთხით აინტერესებს.

როგორც ყველა ხანგრძლივი სამუშაო, პერსონაჟის ქეისიც, პირველ რიგში, პრიორიტეტების წარმოჩენით უნდა დავიწყოთ. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ მთავარი პერსონაჟი ლუარსაბ თათქარიძე მოსწავლისათვის საინტერესო ობიექტია კვლევის თვალსაზრისით, რადგან, ქეისის შექმნის დროს, ბავშვი აუცილებლად აკვირდება გმირის სოციალურ გარემოს, სახლ-კარს, შეხედულებებს, ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს, დამოკიდებულებას საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიმართ და ა.შ. ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ სწავლებისას, პერსონაჟის ქეისის გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს, მოსწავლეები დააკვირდნენ გმირების ქმედებებს, სოციუმის მათდამი დამოკიდებულებას, მათი ემოციებისა და ფიქრის გათვალისწინებით, მოსწავლეები ქმნიან მუცალის, ალუდა ქეთელაურის, მინდიასა და თემის პერსონალურ ქეისებს. ყველა ამ პროცესში პრიორიტეტულია პერსონაჟი და მისი თვალით დანახული სამყარო.

➢ როგორ უნდა დავგეგმოთ და მოვამზადებინოთ მოსწავლეებს პერსონაჟის ქეისი?

➢ რა საფეხურები უნდა გავიაროთ წარმატებულ შედეგამდე?

➢ რით განსხვავდება იგი სხვა მეთოდებისგან, რომლებსაც აქტიურად ვიყენებთ პერსონაჟებზე მუშაობის დროს?

პერსონაჟის დახასიათებაზე მუშაობისას გამოყენებული ტრადიციული მეთოდებით მოსწავლეები აკვირდებიან:

• გმირის გარეგნობას, როგორც შინაგანი ბუნების გამოძახილს;

• მოქმედებებზე დაკვირვებით ხასიათის ძირითად თავისებურებებს;

• პერსონაჟის ემოციებსა და გრძნობებს;

• საზოგადოების მიმართ დამოკიდებულებას;

• გმირის სოციოკულტურულ გარემოს;

• ავტორის დამოკიდებულებას მის მიმართ;

• გმირის მიმართ სხვა პერსონაჟების დამოკიდებულებას და სხვ.

ასეთი მუშაობა, მთელი ტექსტის გააზრების შემდგომ, მოსწავლისგან ითხოვს შესწავლილი ნაწარმოების მიხედვით გმირის ხასიათის ცვლილების შეფასებას. იგი ეფექტურად გამოიყენება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და პერსონაჟის ხასიათის საერთო სურათის შექმნით ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულ ანალიზს ესგ-ის შესაბამისი მოთხოვნებითა და შედეგებით. თუმცა პერსონაჟის ქეისზე მუშაობის მთავარი და მნიშვნელოვანი თავისებურება სწორედ **ტექსტის კვალდაკვალ, მოქმედების მსვლელობისას მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებაა,** რომლის საფუძველზეც მოსწავლე პერსონაჟის კოგნიტურ სქემას ადგენს ქრონოლოგიურად, თანმიმდევრობით, ავტორის მიერ ჩაფიქრებული მოვლენათა განვითარების მიხედვით, კვლევა-ძიებით. მაგალითად, ალუდა ქეთელაურის მეტამორფოზის შესახებ მსჯელობისას მოსწავლეს შეუძლია, თანმიმდევრობით დაალაგოს ის პროცესები, რომლებიც იწყებენ და ასრულებენ გმირის ფერისცვალებას. პერსონაჟის ქეისზე მუშაობა იწყება ნაწარმოების შესწავლის პირველივე გაკვეთილიდან და შემდეგნაირად მიმდინარეობს:

• თავი I. მუცალთან შეხვედრის ეპიზოდი – *„ახლა შენ იყოს, რჯულძაღლო...“* – ალუდა ემოციურად ხვდება ღირსეული მტრის სიტყვებს, აღარ სურს მკლავის მოჭრა და არც მის იარაღს იღებს;

• თავი II. გზა სოფლისაკენ – მტრობის მოჯადოებული წრე – *„შენ რომ სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია“*; ალუდა ჰკიცხავს ყველას, ვისაც მტრობა ცხოვრების წესად აქვს;

• თავი II. *„ყველანი მართალს ამბობენ განა, ვინაცა ჰფიციან?“* – ალუდა საკუთარ თავს უსვამს კითხვებს, რომლებიც აიძულებენ, კიდევ უფრო ღრმად იფიქროს საკუთარი ცხოვრების წესზე და ა.შ. ამგვარად მოსწავლე მუშაობს მთელ ტექსტზე.

თითოეული ჩანაწერის ქვეშ არსებობს ველი – **შენიშვნა**, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს პერსონაჟის კონკრეტული ქცევა, სიტყვა, შეხედულება ან ემოცია. ასეთი სახით დაგროვებული ჩანაწერები, საბოლოოდ, ქმნის პერსონაჟის ცხოვრების არქივს, რომელზე დაყრდნობითაც მოსწავლეს უმარტივდება გმირის ფსიქოემოციური და სოციალური მდგომარეობის გადმოცემა, მაგალითებზე დაყრდნობით მსჯელობა, საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება თხზულებასა თუ ზეპირმეტყველებაში.

ქეისის სქემის ფორმა დამოკიდებულია მოსწავლის სურვილსა და შესაძლებლობაზე, მთავარია, იგი იყოს:

• თანმიმდევრობითი;

• ჰქონდეს შენიშვნის ველი;

• მინიშნებული იყოს მაგალითი (ციტატა);

• აუცილებლად იყოს მითითებული ნაწარმოების მონაკვეთი, რომელსაც განიხილავს მოსწავლე (გვერდი/თავი/სტროფი/სტრიქონი და ა.შ.).

მაგალითად, სქემას შეიძლება ჰქონდეს ასეთი ფორმა:

**ალუდას პერსონაჟის ქეისი**

| თავი I | თავი II | თავიII |
|---|---|---|
| მუცალთან შეხვედრის ეპიზოდი - "ახლა შენ იყოს, რჯულძაღლო..." ალუდა ემოციურად ხვდება ღირსეული მტრის სიტყვებს, აღარ სურს ალუდასთვის მკლავის მოჭრა და არც მის იარაღს იღებს (გვ.164. სტრფ 5. სტრქ.3-4). შენიშვნა: ---------- | გზა სოფლისაკენ მტრობის მოჯადოებული წრე - „შენ რომ სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ. მკვლელს არ შაარჩენს გვარია“; ალუდა ჰკიცხავს ყველას, ვისაც მტრობა ცხოვრების წესად აქვს შენიშვნა: ---------- ----; | "ყველანი მართალს ამბობენ განა, ვინაცა ჰფიციან?" – ალუდა საკუთარ თავს უსვამს კითხვებს, რომლებიც აიძულებენ კიდევ უფრო ღრმად იფიქროს მისი ცხოვრების წესზე (გვ.165. სტრფ 12. სტრქ.2-3). შენიშვნა: ---------- ----. |

მეთოდს აქტიურად ვიყენებ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან მუშაობისას. იგი მიცავს მოსწავლის ნაადრევი შეფასებისგან, პერსონაჟის შესახებ შეხედულების შექმნის პროცესში. მოსწავლეს აქვს გზადაგზა ლავირების, აზრის შეცვლის, მის მიერ შექმნილ ქეისზე დაკვირვების საუკეთესო შესაძლებლობა და, ამავდროულად, ნაწარმოებში განვითარებული მოვლენების თანამონაწილე, გმირის გულშემატკივარი ხდება.

**თამარ ქუთათელაძე**

*სსიპ-თბილისის №128 საჯარო სკოლის*
*ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

ლიტერატურის სწავლებისთვის

# სად არიან შვილები...

როცა პირველად წავიკითხე ბესიკ ხარანაულის ლექსი „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“, ვერ ჩავწვდი ლექსის საზრისს. რამდენჯერმე წაკითხვისა და დაწერის თარიღის გააზრების შემდეგ მივხვდი, რა აწუხებდა პოეტს.

ბესიკ ხარანაულის შემოქმედება ძალიან ღრმაა და ეროვნული ტკივილით გაჯერებული. ლექსი „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“ არ არის ადვილად გასააზრებელი ლექსი. იგი 1999 წელს არის დაწერილი. 90-იანი წლები ყველაზე მძიმე იყო მე-20 საუკუნეში. ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დაინგრა საბჭოთა კავშირი და გაიხსნა გზა ევროპისაკენ. თითქოს ეს უბედნიერესი ხანა უნდა ყოფილიყო ქვეყნისათვის, რომელმაც ორასწლოვანი ჩაგვრისაგან გამოიხსნა თავი, მაგრამ ყველაფერი არც ისე კარგად წარიმართა, როგორც ვოცნებობდით. ამ პერიოდში დაიწყო ახალგაზრდების მასობრივი გადინება ქვეყნიდან. სწორედ ეს პროცესი გახდა იმ დიდი ტკივილის მიზეზი, რომელიც ასე ძალიან აწუხებდა საქართველოსა და ქართველებზე შეყვარებულ პოეტს.

მკვლევარი მაია ჯალიაშვილი წერილში „გამქრალი თაობის კვალდაკვალ“ აღნიშნავს, რომ ლექსი „სად არიან შვილები...“ ხალხურ ყაიდაზეა დაწერილი და მასში საქართველოს უახლესი ისტორიის, კერძოდ, მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებით გამოწვეული დიდი ტკივილია წარმოჩენილი. სტრიქონებიდან მოედინება გულისმომკვლელი სევდა, რომელიც ერის მომავლის უპერსპექტივობაზე დააფიქრებს მკითხველს. იმავე დროს, სათქმელის კონკრეტულ სივრცეში საკაცობრიო სატკივარიც შემოიჭრება, „ეკლესიასტეს“ მოტივებით. ეს ლექსი წარმოჩნდება, როგორც სასოწარკვეთილი ლირიკული გმირის მონოლოგი, გმირისა, რომელსაც შვილები დაუკარგავს, ახლა გარეთ გამოსული დაეძებს და ეკითხება ქვეყანას:

*„სად არიან შვილები, შვილები სად არიან,*
*გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია“.*

დიახ, „გამქრალი თაობის“ სევდას აღწერს და გადმოგვცემს ავტორი და გადმოგვდებს იმ გრძნობებსა და ემოციას, რომელთაც თავად განიცდის. ბესიკ ხარანაულს კი შესწევს უნარი, სათქმელი ისე გადმოგვცეს, რომ მისი განცდები ღრმად აღწევდეს მკითხველის გულში. ის, რომ ლირიკულ გმირს შვილები დაუკარგავს და ვეღარ პოულობს: „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“, ჩვენც გვაფიქრებს და თანაზიარს გვხდის იმ ტკივილისა, რომელიც მწერლის გულში დაბუდებულა ქვეყნიდან ახალგაზრდების გაქრობის გამო. კიდევ უფრო მძაფრდება ტრაგიკულობის განცდა, როდესაც შვილების საძებნელად გასულ ლირიკულ გმირს მხოლოდ სიცარიელე ხვდება: *„გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია“. „სად არიან შვილები“* – ხშირად მეორდება და ყოველ გამეორებას მეტი დაძაბულობა და ტრაგიკულობა შემოაქვს ლექსში. შვილები, რომლებიც მამულისათვის გაიზარდნენ, აღარ ჩანან ქვეყანაში. დაბნეული ლირიკული გმირი ეძებს შვილებს, ქვეყნის მომავალს, მაგრამ ამაოდ. ყველაზე მტკივნეული კი ის განცდაა ავტორისათვის, რომ ვეფხვებივით ვაჟკაცები ისე დაკარგულან, არავინ იცის მათი ამბავი, უკვალოდ, უსახელოდ გამქრალან. იმასაც ვერ იაზრებს, სად ეძებოს ქვეყნის იმედად გაზრდილი ვაჟკაცები:

*„სად არიან ვეფხვები, ლერწმიანში არიან,*
*ლერწმიანში ქარია, ვეფხვები არ არიან“.*

შეშფოთებული ლირიკული გმირი უკვე ციხეში ეძებს, მაგრამ ქვეყნის მდგომარეობით პატიმრადქცეული შვილები ციხეშიც არ დახვდა, იქაც სიცარიელე:

*„მიველ, ციხე გავტეხე, არ არიან, ქარია“.*

*„საქართველო აქროლდა“* – ამბობს სასოწარკვეთილი ავტორი და რამხელა ტკივილი იგრძნობა ამ სიტყვებში. ბევრ ნაწარმოებში იკითხება ავტორთა გულისტკივილი ერის გადაგვარების, ზნეობრივად დაცემისა თუ სულიერად განადგურების გამო, მაგრამ არსად წამიკითხავს საქართველოს გაქრობის, დაღუპვის, უიმედობის ტკივილი ასეთი სიმძაფრით იყოს გადმოცემული.

რა აწუხებს ავტორს ყველაზე მეტად? ალბათ ის, რომ მამების თაობა, რომელსაც სულაც არ აწუხებს ქვეყნის იმედად გაზრდილი შვილების გაქრობა, უმოქმედო, გულგრილი და დაუფიქრებელია, არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მათი სახელი მაინც არ გაქრეს.

*„იმათ სახელობაზე ხე მაინც ახარეა,*
*იმ ხესაც ხომ შენ დასწვავ, შენი მოსახმარია“*

საყვედურობს უფროს თაობას მისი უნიათობით გულმოკლული პოეტი.

თითქოს ბოროტების ზეობის ხანა დამდგარა ქვეყანაში და დაუმონებია ქართული სული. ზნეობრივად დაცემულა ის ერი, რომლის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისათვის ამდენმა თავდადებულმა მოწამემ, მეფემ თუ დედოფალმა გაწირეს თავი... ახლა კი:

*„საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია,*
*სად არიან შვილები, ქარია, არ არიან“.*

ლექსი საუკეთესოდ გამოხატავს იმ ტკივილს, შეშფოთებასა და სასოწარკვეთას, რომელიც მეოცე საუკუნის მიწურულში დატრიალებულმა „ქარიშხალმა“ გამოიწვია საქართველოში და რომელიც დღესაც გრძელდება.

**ქეთევან გუხრაშვილი**
*ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
1. ბიწაძე დავით – „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“;
2. https://biwastudio.wordpress.com/2011/10/14;
3. ბრეგაძე ლევან – „შეშფოთებიდან სასოწარკვეთამდე“;
4. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2010 წლის აპრილი;
5. დოიაშვილი თეიმურაზ – „საქართველო ქარია“;
6. მურღულია გია – „საუბრები უფროსკლასელებთან“, თბ., 2013.

ინფორმაცია

# სამშობლოს ჯარისკაცები

22 თებერვალს, აფხაზეთის ა/რ მთავრობის შემოქმედებითი ინიციატივების ფარგლებში, დიმიტრი ჯაიანის სახელობის საკონცერტო დარბაზში, ფოლკლორის ეროვნული სკოლის და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების განყოფილების ინიციატივით, ჩატარდა შემოქმედებითი საღამო – „სამშობლოს ჯარისკაცები“ (პროექტის პარტნიორი – კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრი, სამხატვრო ხელმძღვანელი – **დავით საყვარელიძე**).

ღონისძიებაზე ერთმანეთს შეხვდნენ 3 თაობის – უფროსი, საშუალო ასაკის და ახალგაზრდობის წარმომადგენლები. საღამოს საპატიო სტუმრები იყვნენ: აფხაზეთის ომის ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები; აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები; აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საჯარო სკოლების პედაგოგები;პოეტები, მწერლები, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მუშაკები; სამაჩაბლოსა და ზემო აფხაზეთის ადმინისტრაციის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შემოქმედებით საღამოს უძღვებოდა ფოლკლორის ეროვნული სკოლის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი **გიორგი უშიკიშვილი**. შეხვედრის მონაწილეებმა, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების ხსოვნას.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ, **ვახტანგ ყოლბაიამ**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარემ, **გია გვაზავამ**, აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტროს თანამშრომელმა, **ნონა ბერაიამ**, ომის ვეტერანებმა – **ზურაბ შამუგიამ**, 26-ე ბატალიონის მებრძოლმა თბილისელმა **ნოდარ მიქაბაძემ**,საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, **თემურ ჩალაბაშვილმა** და სხვებმა. თავიანთ გამოსვლებში მათ ხაზი გაუსვეს საზოგადოებრივ პროცესებში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას, როგორც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს სამშობლოს ერთიანობის და მშვიდობიანი განვითარების საქმეში. ისაუბრეს იმ ადამიანების ღვაწლსა და დამსახურებაზე, რომლებმაც საკუთარ მხრებზე გადაიტანეს ომის სიმძიმე და ყველაზე მეტად იციან ომისა და მშვიდობის ფასი. აღინიშნა ისიც, რომ ასეთი თბილი და სიყვარულით გაჯერებული შეხვედრები უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს მომავალი თაობისთვის მამულისადმი ერთგულებისა და თავდადების სამაგალითოდ.

აფხაზეთის ომის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ კონცერტზე ქართული, აფხაზური, ოსური, ლაზური, სვანური, მეგრული და კოლხური სიმღერები შეასრულეს: ფოლკლორულმა ტრიომ „კელაპტარი“ **ანა მაჭარაშვილის, სოსო ხუნწარიას** და **სოსო მახარაძის** მონაწილეობით; ანსამბლებმა – „ლაშარელა“და „ამარტა“, „ანდროსეული“ (ფოლკლორის ეროვნული სკოლის კურსდამთავრებულთა ანსამბლი, ხელმძღვანელი – **ვასო კორნიენკო**), ეროვნული სკოლის ნორჩმა მომღერლებმა (პედაგოგები: **ელზა უშიკიშვილი**, **ოთარ კაპანაძე** და **რეზო შანიძე**) ღონისძიების მონაწილეთა ოვაციები

დაიმსახურეს. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად გიორგი უშიკიშვილისა და მისი პედაგოგიური კოლექტივის მიერ შესრულებულ სიმღერებს.

საღამოს დასასრულს, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის და შემოქმედებითი ახალგაზრდობის სახელით, ფოლკლორის ეროვნული სკოლის დამაარსებელს და მხატვრულ ხელმძღვანელს, გიორგი უშიკიშვილს და პედაგოგ ელზა უშიკიშვილს, აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების სულიერ და კულტურულ განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ჯილდოდ გადაეცათ სპეციალური სიგელები, დიპლომები და სამახსოვრო წიგნები.

უფლის ძალით და ნებით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მალე დაბრუნების, ქვეყნის გამთლიანებისა და აღორძინების სურვილითა და მომავლის იმედით დასრულდა აფხაზეთის ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების პატივმისაგებლად გამართული კიდევ ერთი შემოქმედებითი საღამო.

**ნონა ბერაია**
*აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების უფროსი სპეციალისტი*

# ტესტები და დამხმარე სახელმძღვანელოები
## მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და პედაგოგებისთვის!




12₾

**ტესტები გეოგრაფიაში**
მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისთვის
200x257 მმ, 226 გვ.

10₾

**ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო**
აბიტურიენტებისთვის
195 X 275, 160 გვ.

10₾

**ტესტები ისტორიაში**
აბიტურიენტებისათვის
200x257 მმ,
204 გვ., ფერადი

13₾

**დამხმარე სახელმძღვანელო ლიტერატურაში**
170x230 მმ., 224 გვ.

10₾

**ტესტები მათემატიკაში აბიტურიენტებისთვის**
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მათემატიკის საგამოცდო ტესტების ანალოგიური 28 სრულყოფილი ტესტი.
200 x 257 მმ, 186 გვ.

15₾

**თემატური და საკონტროლო ტესტები თვითშეფასებისთვის**
გამოსაშვები გამოცდების პროგრამის მიხედვით. წიგნში მოცემული თითქმის ყველა ამოცანა ორიგინალურია!
195×265, 356 გვ.

12₾

**ფიზიკის ტესტების კრებული VII-XII კლასის** მოსწავლეებსა და აბიტურიენტებისთვის სასკოლო და ეროვნული გამოცდებისათვის.
200 x 257 მმ, 208 გვ.

8₾

**დამხმარე სახელმძღვანელო**
თეორიული მასალის მოკლე კონსპექტის სახით
210 x 297 მმ., 116 გვ.

7₾

**ხელოვნება**
დამხმარე სახელმძღვანელო 1-ელ და მე-2 კლასებში
სახელმძღვანელო აგებულია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.
210 x 297 მმ, 84 გვ., ფერადი

12₾ 12₾

**თეორიული მასალა და ტესტები ბიოლოგიაში**
(მე-2 შესწორებული და განახლებული გამოცემა)
ტესტებში შესული თეორიული მასალა და ტესტები შედგენილია 2017-2018 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამის მიხედვით.
195×275,
I ნაწილი — 160 გვ.,
II — 152 გვ.


0112, თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 181,
ტელ: (032) 234.04.30 ვებ-გვერდი: www.klio.ge; ელფოსტა:
book@klio.ge // kliopublishing@gmail.com
FB: PublishingHouseKlio /ან გვიპოვეთ ჰეშთეგით #კლიო/


## წიგნის თაროს

5 ლარი

12 ლარი

~~10 ლარი~~
7 ლარი







~~9 ლარი~~
6 ლარი

ფასდაკლება

**პროფესიული უნარები**
**თეორიული მასალა**




15 ლარი

**პროფესიული უნარები**
**ტესტები**

15 ლარი

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

**ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში**

6.50 ლარი

**სასწავლო პროექტები**

11 ლარი

**ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის**

11 ლარი

**ინტერაქტიური მეთოდების კრებული**

6 ლარი

**კათედრის გამგის პორტფოლიო**

6 ლარი

**მასწავლებლის კალენდარი**

5.50 ლარი

**ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის**

14 ლარი



ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აპ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი



რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.